

24 საათი

გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი 19 თებერვალი, 2009 წელი. №36 (2074)

ფასი 50 თეთრი

ალასანიას გუნდის ახალი სახე

A2



ჩარნომირდინი - მოსკოვისა და კიევის მორიგი უთანხმოების მიზეზი

A7



თუმი მაცხვარა

A10



მაინც რათა - ვადამდელი არჩევნები?

ბიკა ნოდია

ოპოზიციის დიდი ნაწილი რომ ამბობს, ვადამდელი არჩევნები გვინდაო, ეს ძალიან გასაკვირი არ არის. გასაკვირი ისაა, რომ ისინი პრაქტიკულად არც ინუხებენ

თავს, ეს მოთხოვნა ასე თუ ისე საფუძვლიანი არგუმენტებით გაამაგრონ. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ მაინცდამაინც არც არავინ სთხოვს დასაბუთებას.

როცა 2007 წლის შემოდგომაზე ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნების უახლოეს გა-

ზაფხულზე ჩატარებას აყენებდა, ის თავგამოდებით იცავდა ამ მოთხოვნის კონსტიტუციურობას.

უცხოელ ჟურნალისტები რომ შეეკითხებოდნენ, ვადამდელი არჩევნებს რატომ ითხოვთო, ოპოზიციონერები ზრდილობიანად,

მაგრამ მკაცრად უსწორებდნენ: თქვენ ცდებით, რა შუაშია ვადამდელი არჩევნები, ჩვენ არჩევნების სწორედ რომ კონსტიტუციურ ვადებში ჩატარებას ვითხოვთ.

ბაზრძილაბა A4 გვირდობა

ნარმატებული მოლაპარაკება

ყენევის ფორმატის მეოთხე რაუნდში მხარეებმა შეთანხმებებს მიაღწიეს

დიმიტრი ავალიანი


ყველაზე წარმატებული მოლაპარაკებები ყენევის კონსულტაციების დაწყების დროიდან - ასეთი შეფასება მისცა გუშინდელი მოლაპარაკებების შედეგებს ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა. ინციდენტების თავიდან აცილების და რეაგირების ერთობლივი მექანიზმების შესახებ დოკუმენტზე საბოლოოდ ყველა მხარე შეთანხმდა. იმავდროულად, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ყენევაში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვს.

ბაზრძილაბა A3 გვირდობა



დენიელ ფრიდი მოლაპარაკებებით კმაყოფილია.

AFP - 2009



დიდი შესაძლებლობები ქართული ფირმებისთვის

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურშათ თუზმენი თურქ ბიზნესმენებთან ერთად თბილისში ჩამოვლის

ამა წლის 24 თებერვალს, 10:00 საათზე, სასტუმრო „Marriott Courtyard“-ში, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურშათ თუზმენი, მაღალი რანგის ოფიციალურ დელეგაციასთან და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მწარმოებელ და საექსპორტო კომპანიებთან ერთად, გამართავს თურქულ და ქართულ ბიზნეს ფორუმს.

თურქულ-ქართულ ბიზნეს ფორუმს დაესწრებიან სხვადასხვა სექტორში წარმატებით მოღვაწე თურქი ბიზნესმენები. თურქული და ქართული ფირმების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამართონ ორმხრივი შეხვედრები.

შეხვედრის სრულყოფილად ორგანიზების მიზნით გთხოვთ, ამ ფორუმზე დასწრების მსურველმა ფირმებმა და სექტორებმა საკონტაქტო ინფორმაცია მოგვანოლონ შემდეგ მისამართზე:

თურქეთის რესპუბლიკის საელჩო
სავაჭრო სამრჩევლო
ტელ: 25 13 36 / 25 12 89, მობ: 893 900 640
რეგისტრაციის დრო 9.00-9.45

24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლევთ ურთიანეთს



ჰი ჰი ჰი
მინის სადაზღვეო ჯგუფი

სასწრაფო დახმარების სამსახურს სიგელები გადასცეს

გუშინ, გმირთა მოედანზე სასწრაფო დახმარების რეგიონალური სამსახურები დააჯილდოვეს. საპატიო სიგელები გადასცეს შიდა ქართლის, გარდაბნის, კახეთის, იმერეთის, გურჯისტანის, სამეგრელოს, რაჭის და აჭარის რეგიონების "03"-ის სამსახურის უფროსებს. ასევე დააჯილდოვეს კონფლიქტის ზონაში მოქმედი სოფლების - ქურთის, ტყვიანის, ახალგორის და ზემო აფხაზეთის სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელები. განსაკუთრებული სიგელი გადასცეს თბილისის სასწრაფო დახმარების უფროს ზურაბ ჩინრაძეს. "რაც ყველაზე მთავარია და რამაც კიდევ უფრო აამაღლა პატივისცემა და მეტი მადლიერების გრძობა გაუჩინა, როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლებას, ეს არის მათი თავდადება რუსეთის აგრესიის დროს," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას პარლამენტის ვიცესპიკერმა გივი ნერეთელმა.

დაჯილდოვებასთან ერთად, გმირთა მოედანზე სამშობლოსათვის თავდადებულთა მონუმენტი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპულ ექიმებს, ჯარისკაცებს და მშვიდობიან მოსახლეობას პატივი ნუთიერი დუმლით მიაცეს. საქართველოს სასწრაფო დახმარების სამსახურს ნელს ასი ნელი შეუსრულდა. **24 საათი**

გიორგი ბარამიძე თსუ-ს ეწვია

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა. მინისტრმა და შეკრებილმა აუდიტორიამ ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს. გიორგი ბარამიძის თქმით, საქართველო მყარად დგას ევროპისკენ და ნატოსკენ ინტეგრაციის გზაზე.

"დემოკრატიული სახელმწიფოსთვის საჭიროა თავისუფალი სასაზღვრო არსებობა, ნატო და ევროკავშირი გვეხმარება ამ კუთხით," - განაცხადა ბარამიძემ. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრესა შედარებით თავისუფალია, მაინც არის განცდა მისი არასაკმარისი ხარისხისა და საქართველო ამ მხრივაც თანამშრომლობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გიორგი ბარამიძემ ისაუბრა ფინანსურ კრიზისზე და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. მისი თქმით, ქვეყნისთვის ასეთ მძიმე ვითარებაში საჭიროა სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრების გაგება და მათი გათვითცნობიერება ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაში. **24 საათი**

საყოველთაო დაზღვევის მემორენდუმს 10-მა სადაზღვევო კომპანიამ მოაწერა ხელი

გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმდა მემორანდუმი საყოველთაო დაზღვევის შესახებ.

მემორანდუმს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიციანი და საქართველოში მოქმედი 10 სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელი ანერენ ხელს. ბელმომწერი კომპანიები არიან "პლდაგი ბი-სი-აი", "იმედი - ელ"-ი, "ჯი-პი-აი ჰოლდინგი", "ირაი", "სახალხო დაზღვევა", "აისი ჯგუფი", "ვესტი", "ტაო", "პარტნიორი" და "არქიმედე გლობალ ჯორჯია".

საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეებს შეეძლება 1 მარტიდან 1 ივლისამდე მიმართონ მათთვის სასურველ სადაზღვევო კომპანიას. 5 ლარიანი სადაზღვევო პაკეტის მისაღებად მოქალაქეს თვეში მხოლოდ 1.65 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო დანარჩენ თანხას - 3.35 ლარს მათ სახელმწიფო აუნაზღაურებს.

ალექსანდრე კვიციანის განცხადებით, ეს პროგრამა შეეხება მოქალაქეებს 3-დან 60 წლამდე (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა, ასევე 3 წლამდე და 60 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სპეციალური პროგრამები მოქმედებს).

მემორანდუმის გაფორმებისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ აქამდე არსებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, არცთუ ისე ეფექტიანად და გამართულად ხორციელდებოდა. ამის გამო სახელმწიფო მომდევნო წელიწადნახევარ-ორი წლის მანძილზე დაზღვევის უფრო მოქნილი სისტემის დანერგვას გადადის. "ამის მიზანი პაციენტის უფლებების და ინტერესების გათვალისწინებაა, ეს სისტემა უპირველესად პაციენტზე იქნება მორგებული," - განაცხადა გილაურმა.

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ჯაბაშვილი განაცხადა, დაზღვევის პაკეტში შევა გადაუდებელი სასწრაფო დახმარება (უბედური შემთხვევები), პირველადი დახმარება, პოლიკლინიკის მომსახურება. რაც შეეხება მედიკამენტურ დახმარებას და სტომატოლოგიურ მომსახურებას, დაზღვევის პაკეტი ამას, საეარაუდოდ, არ გაითვალისწინებს.

სადაზღვევო კომპანიებსა და მთავრობას შორის კონკრეტული საკითხები დამატებით კიდევ შეთანხმდება, როგორც "სახალხო დაზღვევის" გენერალურმა დირექტორმა გიზო ცაგარეიშვილმა განაცხადა, 24 თებერვლისთვის უკვე შეთანხმებული იქნება დაზღვევის პირობებიამის მიხედვით სადაზღვევო კომპანიები ეცდებიან კონკურენტისთვის თვალსაზრისით გაუმჯობესებული პირობები შესთავაზონ მომხმარებელს.

ჯანდაცვის სამინისტროში უკვე ჩამოყალიბდა საკორდინაციო საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ჯანმრთელობის დაზღვევაში დანერგილი პროგრამების განხორციელებას. აშშ-ს განვითარების სააგენტოს დაფინანსებით კი ჩამოყალიბდა მედია-სამსახური, რომელიც სადაზღვევო კომპანიასა და პაციენტს შორის წარმოშობილ შესაძლო გაუგებრობებს შეისწავლის. **24 საათი**

ალასანიას გუნდის ახალი სახე

გია ყარყარაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

დათო გაიხსონია

გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ გუნდის პრეზენტაციიდან ორ დღეში, მას სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა გია ყარყარაშვილმა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ყარყარაშვილმა მიმართა თანამებრძოლებს, ვეტერანებს და თანამოაზრეებს, ხელი შეუწყო ალასანიას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ახალი იდეებისა და ინიციატივების რეალიზებას. თავდაცვის ყოფილი მინისტრმა პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზად ხელისუფლების მიერ არსებული რეალობის აღქმის უნარის დაკარგვა დაასახელა და აღნიშნა, რომ მას (ხელისუფლებას) სახელმწიფოს მართვის მორალური უფლება არა აქვს.



ქალაქი გმირობის ტოლფასია," - აღნიშნა თავდაცვის ყოფილი მინისტრმა. ის დარწმუნებულია, რომ ალასანიას პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი იქნება თუნდაც ძალიან განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკურ ჯგუფებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა.

გია ყარყარაშვილმა ვრცლად ისაუბრა იმ მიზეზებზე, რამაც განაპირობა მისი პოლიტიკიდან წასვლა და ახლა კვლავ გააქტიურება. "2004 წელს დავტოვე პარლამენტი, რათა მომეხსნა ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებული შესაძლო უხერხულობები ახალი პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად. ახალი ხელისუფლება სრულად თავისუფალი იყო მისი წინამორბედის შეცდომების მემკვიდრეობისგან. მას ჰქონდა ქვეყნის გაძლიერების და განვითარების უნიკალური შანსი - გააჩნდა მოსახლეობის უდიდესი ნდობა, ოსი და აფხაზი ხალხის მოლოდინი ახალი ინიციატივებისადმი და საერთაშორისო თანამეგობრობის უპირობო მხარდაჭერა."

ყარყარაშვილის თქმით, ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა მისთვის მინიჭებული ნდობა,

რადგან საჭირო იყო სამართლიანი, კაცთმოყვარე, ჰუმანური პოლიტიკის წარმოება. ხოლო, საქართველოს ხელისუფლების არადემოკრატიულმა კურსმა, შეცდომებით სავსე სამხედრო პოლიტიკამ, უპასუხისმგებლო ქმედებებმა ქვეყანა ჯერ 2007 წლის ნოემბრის და შემდეგ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე მიიყვანა, - განმარტა ყარყარაშვილმა. თავდაცვის ექს-მინისტრის თქმით, ის არ პასუხობდა 1992-93 წლების ომის მონაწილეების მიმართ ხელისუფლების მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ განცხადებებს. "პირადად მე, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები ამ ამპარტავნებს, მაგრამ მაშინ არ იყო საინფორმაციო საშუალებებში ის ფუფუნება, რომ ამგვარ დებატებში მიმეღო მონაწილეობა და ჩემი სიფრთხილე გამომეხატა. სამწუხაროდ არც სამხედრო და არც სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში დღევანდელ ხელმძღვანელობას არ აღმოაჩნდა ჩემზე უკეთესი არც თავდადება და არც სამშობლოს განცდა," - განმარტა ყარყარაშვილმა. ის გამოსავალს ხედავს, ერთი მხრივ, ზომიერი, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის წარმართვაში და, მეორე მხრივ, ირაკლი ალასანიას სამშვიდობო გეგმების და მისი სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული იდეების განხორციელებაში.

მომდე ვიწყობოდი კონფლიქტის ზონაში, მათ ჩამიყვანეს იქ ხალხთან ერთად და მიატოვეს. მათ ჩემთან შეხვედრაც კი არ ისურვეს," - აღნიშნა გია ყარყარაშვილმა.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული ობიექტური დაპირისპირების მიუხედავად, ყარყარაშვილს არ სჯერა, რომ რუსული აგრესია გარდაუვალი იყო და ამის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა. ის დარწმუნებულია, რომ ომის დაწყებასა და კატასტროფულ მარცხს ქართული მხრიდან ბევრი სუბიექტური მიზეზი ჰქონდა.

საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი არ ეთანხმება აგვისტოს ომის შემდეგ ხელისუფლების მიერ დასახულ პრიორიტეტებსაც. "ხელისუფლების თვალთახედვით, თურმე მხოლოდ სამუშაო ადგილებია ქვეყნის უმთავრესი გამოწვევა. პირადად ჩემთვის უმთავრესი არის სამშობლოს ერთიანობის განცდა," - განმარტა გია ყარყარაშვილმა. ის გამოსავალს ხედავს, ერთი მხრივ, ზომიერი, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის წარმართვაში და, მეორე მხრივ, ირაკლი ალასანიას სამშვიდობო გეგმების და მისი სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული იდეების განხორციელებაში.

ლეიბენიას მოსახლეობა აუქციონის შედეგებს აპროტესტებს

გუშინ, კანცელარიის წინ გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. მათი პროტესტის მიზეზი აგვისტოს თვეში გამართული დახურული აუქციონის გახდა, რომელზეც ლემშვენიერაში მდებარე 1700 ჰექტარი მიწა ინვესტორს - კომპანია "კავკასუს აგრო დეველოპმენტს" გადაეცა. აქციის მონაწილეთა თქმით, მიწა გაიყიდა იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობამ რამდენჯერმე მიმართა თხოვნილი სხვადასხვა ინს-

ტანციებს პრივატიზაციის წესით მიწის მათთვის გადაცემის შესახებ. მათ ამის თაობაზე წერილი გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, ეკონომიკური განვითარების მინისტრ ლაშა ჟვანიასა და ყოფილ პრემიერ მინისტრს გრიგოლ მაგალობლიშვილს. მაგრამ, როგორც თვითონ აცხადებენ, ამ თხოვნაზე არცერთ უწყებას რეაგირება არ მოუხდენია. სოფელი ლემშვენიერა უმეტესად 1987 წელს სტიქიით დაზარალებული სვანეთის მაცხოვრებლებითაა დასახლებული. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სოფელში მცხოვრებთ ერთ კომლზე 3 ჰექტარი მიწა ეკუთვნოდა, სულ კი იქ 600 მდე კომლია და მიწა მათი ერთადერთი საარსებო წყაროა.

აქციის მონაწილეებს შეხვედრენ პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის წარმომადგენელი და რეგიონალური სამსახურის უფროსი სერგო გვახაძე. მათ ლემშვენიერელებს სოფლის მეურნეო-

ბის მინისტრის სახელზე წერილის დაწერა და სოფლის ყველა მოსახლის ხელმოწერის შეგროვება მოთხოვეს.

აქციის მონაწილეებთან ოპოზიციის წარმომადგენლებიც მივიდნენ. კერძოდ "ახალი მემარჯვენეები" - მამუკა კაციტაძე, მანანა ნაჭყებია. მაგრამ პროტესტანტებმა უარი განაცხადეს მათ დახმარებაზე, რადგან არ სურდათ სოციალური მოთხოვნა პოლიტიკურ აქციად გადაექციათ.

24 საათი

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მ3". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშვილი, პაატა მუხამიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), ენა ფარუშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლეუვაკი. ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებლის ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნარმატაბული მოლაპარაკება

პირველი გვერდიდან

ჟენევაში შეთანხმებული დოკუმენტის მიხედვით, შეიქმნება მხარეების ერთობლივი ჯგუფი, რომელშიც გაერო-ს, ეუთო-ს და ევროკავშირის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ჯგუფი, კონფლიქტის ზონაში ინციდენტების შემთხვევაში, ვითარებას ადგილზე შეისწავლის. ერთობლივი ჯგუფი ასევე რეგულარულ შეხვედრებს გამართავს.

"ეს იყო ყველაზე პროდუქტიული და წარმატებული მოლაპარაკება. ჟენევის მოლაპარაკებები წინ მიდის, მიღწეული იქნა პირველი შეთანხმება მთავარ საკითხზე, ეს არის დოკუმენტი კონფლიქტის ზონაში პრევენციის შესახებ," - განაცხადა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიერ მორელმა. როგორც, თავის მხრივ, გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ განმარტა, დოკუმენტის მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადეკვატური რეაგირება და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ფაქტის გამოძიება.

ქართულმა მხარემ მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილება გამოთქვა. **"დოკუმენტი ინციდენტის დროს ან რაიმე სერიოზული შემთხვევის შემთხვევაში ადგილზე გასვლის საშუალებას იძლევა,"** - განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ შეთანხმების განხორციელება რუსული მხარის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

ამერიკული დელეგაციის



პიერ მორელი: "ეს იყო ყველაზე პროდუქტიული და წარმატებული მოლაპარაკება."

ხელმძღვანელმა, სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ დენიელ ფრიდმა მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება დადებითად შეაფასა. იმავდროულად, მან აღნიშნა, რომ აუცილებელია დენიელთა დაბრუნების საკითხის მოგვარება.

"ამერიკის პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უცვლელია. ჩვენ მოვუწოდებთ რუსულ მხარეს, შეასრულოს სარკოზი-მედევედვის შეთანხმების ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს რუსული ჯარის

დაბრუნებას 7 აგვისტომდე დაკავებულ პოზიციებზე. რუსეთმა აუცილებლად უნდა გაიყვანოს ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან," - განაცხადა დენიელ ფრიდმა.

უსაფრთხოების პრევენციის ზომები ოსურმა მხარემაც დადებითად შეაფასა, თუმცა მიღწეული შეთანხმებას "წინადადებები" უწოდა. ბორის ჩოჩიევის განცხადებით, **"ეს არის წინადადებები მექანიზმის შექმნის შესახებ, რომელსაც ინციდენტების ან პროვოკაციების შემთხვევაში გამოვიყენებთ."**

თავის მხრივ, რუსეთის საგა-

რეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა მიღებულ დოკუმენტს მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ მისი მიღება რთული იყო. იმავდროულად, მოლაპარაკებათა შედეგებს მან თავისებური ინტერპრეტაცია მისცა და განაცხადა, რომ ეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ **"სამი კავკასიური სახელმწიფოს (ანუ საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) პირველი შეთანხმება გახდა."**

ჟენევის ფორმატის ფარგლებში სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობენ საქართველოს, რუსეთის, აშშ-ს, ეუთო-ს, ევროკავშირის და გაერო-ს დელეგაციები, ასევე სოხუმის და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლები.

მოლაპარაკებები ორი დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში - ერთი უსაფრთხოების და სტაბილურობის, ხოლო მეორე - დენიელთა დაბრუნების საკითხებზე, ორ დღეს გაგრძელდა და საკმაოდ დაძაბული იყო. რუსული მედიის ცნობით, უსაფრთხოების პრევენციული ზომების შესახებ შეთანხმების მიმართ ყველაზე მეტ პრეტენზიას თვითგამოცხადებული რესპუბლიკების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ, რომლებიც ტერმინოლოგიაზე და ხშირად ნერტილ-მძიმეზეც დავობდნენ.

ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმები კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლას.

ჟენევის კონსულტაციების ახალი რაუნდის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. პიერ მორელის განცხადებით, ახალი შეხვედრა გაზაფხულზე გაიმართება.

პენტაგონი ქართული არმიის დახმარებას გააგრძელებს

ევროპაში აშშ-ს სახმელეთო ჯარების სარდლის, გენერალ კარტერ პემის განცხადებით, პენტაგონი მზადაა, დააკმაყოფილოს ოფიციალური თბილისის თხოვნა და განაგრძოს საქართველოს არმიის მომზადება.

ამერიკელი გენერლის განცხადებით, ქართველ სამხედროებს შეიარაღება და ტექნიკა აკლიათ და სერიოზული ხარვეზებია ჯარების მართვის საკითხში.

"ჩვენ ვსწავლობთ, თუ როგორ შეგვიძლია ქართული არმიის დახმარება. ვანალიზებთ ორ მიმართულებას: საცეცხლე მომზადებას, ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან მოპყრობის ცოდნას და ჯარების მართვას," - აცხადებს კარტეს პემი.

ამერიკელი გენერლის ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ ჯარისკაცებს საკუთარი ტერიტორიების დაცვას კი არა, ერაციის ოპერაციებისთვის საექსპედიციო ძალების შემადგენლობაში მოქმედებას ასწავლიდნენ.

მისი თქმით, დროა, ქართველმა ჯარისკაცებმა საკუთარი ტერიტორიების დაცვაც ისწავლონ. **მედიაინუსი**

ნატო რუსეთს საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევაში ადანაშაულებს

ნატო-ს ოფიციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურას განცხადებით, რუსეთის ბაზების განთავსება აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სერიოზული დარღვევაა.

აპატურას ინფორმაციით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემები ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განიხილება, რომელიც 20 თებერვალს კრაკოვში გაიმართება.

მისი თქმით, ნატო თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

აპატურაიმ ისიც აღნიშნა, რომ კრაკოვის შეხვედრაზე ნატო-რუსეთის ურთიერთობა არ განიხილება, მაგრამ ეს თემა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იქნება 5 მარტს ბრიუსელში დაგეგმილ ნატო-ს საგარეო მინისტრიალზე. **მედიაინუსი**

აფხაზი სეპარატისტთა წვრთნები

სეპარატისტულ აფხაზეთში უკვე მესამე დღეა, სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს, რომელსაც "ჯარის ოპერაციული გაშლა" ეწოდება. სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილისა და ე.წ. გენშტაბის უფროს ანატოლი ზაიცვის თქმით, 2009 წელს აფხაზეთში ეს რიგით მეორე წვრთნაა.

მისივე თქმით, აღნიშნული წვრთნების მიზანია "კოდორის ხეობის განთავისუფლების შემდეგ გეგმების დაზუსტება".

აფხაზური მხარე ასევე იუწყება, რომ მიმდინარე სამხედრო წვრთნების დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზასთან ურთიერთქმედების საკითხებიც მუშავდება.

აფხაზი სეპარატისტები სამხედრო წვრთნებს დღეს, 19 თებერვალს დაასრულებენ. **ჯი-იჩი-ენი**

დავით ბაქრაძე ლიტვის სეიმის წარმომადგენლებს შეხვდა

ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ლიტვის სეიმის ოპოზიციური, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოში არსებულ შიდა-პოლიტიკურ ვითარებაზე ისაუბრეს.

ლიტვის ოპოზიცია საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის მიმდინარეობითაც დაინტერესდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, ლიტვას დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე დასასწრებად ეწვია და ლიტვის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად დროშის აღმართვის ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა. **ჯი-იჩი-ენი**

სახმელეთო ჯარებს ახალი სარდალი ჰყავს

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარებს ახალი სარდალი ჰყავს. საქართველოს პრეზიდენტის N 105 განკარგულებით, სახმელეთო ჯარების სარდალად პოლკოვნიკი კობა ლაჭყვიანი დაინიშნა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე დაინიშნა მდე პოლკოვნიკი კობა ლაჭყვიანი კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს ხელმძღვანელობდა. **ჯი-იჩი-ენი**

სოზარ სუბარი აჭარელ მოხელეებს ამხელს

სოზარ სუბარი აჭარელ მოხელეებს აქციის დარბევაში ადანაშაულებს. სახალხო დამცველი პროკურატურისგან აჭარის ხელისუფლების რამდენიმე ჩინოსნის საქმიანობის შესწავლას ითხოვს.

კერძოდ, სუბარი ავტონომიის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს და ქობულეთის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს აქციის დარბევაში ადანაშაულებს.

"რამაზ გვარჯალაძემ და ალექო კაკაბაძემ 13 თებერვალს მოძრაობის "სამართლიანი საქართველოსთვის" მხარდამჭერთა აქცია კანონდარღვევით დაშალეს," - განმარტავს სახალხო დამცველი. **პირველი**

ეროვნული ფორუმი სამოქალაქო კომიტატებს შექმნის

ეროვნული ფორუმი საზოგადოებას მორიგ ინიციატივას სთავაზობს. ამჯერად პოლიტიკური ორგანიზაცია სამოქალაქო კომიტეტების შექმნას იწყებს.

ეროვნული ფორუმის ხელმძღვანელ კახა შარტავას განმარტებით, სამოქალაქო კომიტეტები ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობას. კომიტეტები საქართველოს ყველა რაიონებში შეიქმნება. კომიტეტთა საორგანიზაციო ბიუროს ხელმძღვანელი გუბაზ სანიკიძე იქნება. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას ეროვნული ფორუმი სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც სთავაზობს.

"მოქალაქეთა სურვილისა და ენთუზიაზმიდან გამომდინარე, საინიციატივო ჯგუფები და სამოქალაქო კომიტეტები შეიქმნება, პრაქტიკულად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რეგიონებში, დაწესებულებებში," - განაცხადა გუშინდელ კონფერენციაზე კახა შარტავამ.

გუბაზ სანიკიძემ დანერგვით ისაუბრა კომიტეტების ფუნქციაზე, ასევე მათ სტრუქტურაზე. **"სამოქალაქო კომიტეტების მიზანია ადგილებზე**

საზოგადოების აქტიური ჩაბმა ოპოზიციურ მოძრაობაში, ორგანიზებული სტრუქტურების შექმნა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მიხედვით. ამის ორგანიზებას ახდენს საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ირჩევენ 3-7-კაციან მაკოორდინირებელ ორგანოს. ადმინისტრაციულ ერთეულებში (ქალაქი, მუნიციპალიტეტი) ადგილობრივი სამოქალაქო კომიტეტების არჩეული წარმომადგენლებისგან იქმნება სამოქალაქო კომიტეტის საქალაქო და რაიონული საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც მოცემულ ადმინისტრაციულ ერთეულში კოორდინაციას უწევენ ადგილობრივი სამოქალაქო კომიტეტების საქმიანობას," - აღნიშნა სანიკიძემ.

სამოქალაქო კომიტეტებს რამოდენიმე ფუნქცია ეკისრებათ. მოქალაქეების ინფორმირებულობისა და გააქტიურების გარდა, მათ, საჭიროების შემთხვევაში, ევალებათ მოქალაქეების ჩართვა საპროტესტო მოძრაობაში. ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ადმინისტრაციის მხრიდან თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხ-

ვევაში, კომიტეტებს ევალებათ ადმინისტრაციაზე ზემოქმედება, უკანონოდ რეპრესირებული მოქალაქეებისადმი სოლიდარობის გამოხატვა და საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება. ასევე საჯარო დაწესებულებებში (მერიები, მუნიციპალიტეტების გამგეობები და ა. შ.) უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების არდაშვება. კრიტიკულ სიტუაციებში კი - გაფიცვების ორგანიზება.

ამასთანავე, კომიტეტები მიზნად ისახავს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას მსგავსი პროფილის დაწესებულებებში არსებულ სამოქალაქო კომიტეტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროფესიულ კავშირებთან.

"ახალი მემარჯვენეების" და "რესპუბლიკელების" აღიანისის წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის აზრით, ოპოზიცია საერთო სტრატეგიაზე უკვე შეთანხმებულია. რაც შეეხება ტაქტიკას, ცალკეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ ბრძოლის განსხვავებული ფორმები და მეთოდები, მათ შორის ისეთიც, როგორცაა ფორუმის ინიციატივა გულისხმობს.

"ბრძოლის გაძლიერება ყველა ფრონტზე შეიძლება. საკუთარი ინფორმაცია

მაინც რათა - ვადამდელი არჩევნები?

პირველი გვარდია

ეს პარლამენტი მოვიდა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში, როცა ნახევარი წლით გაიხანგრძლივა უფლებამოსილება. სამართლებრივი აზრით, ოპოზიციის მსჯელობა მაშინ საკმაოდ დამაჯერებელი იყო. მერე, რუსთაველზე მოსული ხალხის რაოდენობამ ოპოზიციას კონსტიტუციური პედანტიზმი გაუქარწყლა და მანაც ორიოდ დღეში პრეზიდენტის სასწრაფოდ გადადგომა მოითხოვა - თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია.

ახლა იგივე გულდამწვარი კონსტიტუციონალისტები ისე ითხოვენ ადრეულ არჩევნებს, რაიმე იურიდიული არგუმენტის წამოყენება აზრადაც არ მოსდით. კი წამოაყენებდნენ, მაგრამ საიდან?

არც ხელისუფლების მხარეა ყოველთვის დამაჯერებელი. პრეზიდენტის პირველი არგუმენტირებული გამომხატურება ოპოზიციის მოთხოვნებზე იყო, ახლა ეკონომიკური კრიზისი და ქვეყანას არჩევნებზე დასახარჯი ფული არა აქვსო. რა გამოდის: ფული რომ მოგვრჩეს, გამართლებული იქნება არჩევნების ჩატარება? რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ეს არ უფულისხმია, ასე კი გამოუვიდა. როგორც ჩანს, იფიქრა, ხალხი ამ ლოგიკას უფრო გაიგებს, ვიდრე კონსტიტუციაზე ლაპარაკს. არც მთლად ეგერა საქმე.

კუდი და თვითმარქვა მთავრობა

თუმცა კონსტიტუციით ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ვერ გამართლდება, ოპოზიციის სხვა ორ არგუმენტს ეყრდნობა. ერთი ისაა, რომ ხელისუფლება არაა ლეგიტიმური, ანუ "თვითმარქვია", რადგან შარშან იანვრის და მაისის არჩევნები სამართლიანი არ იყო.

ეს არგუმენტი ორი მიზეზითაა ძალზე სუსტი. პირველი: მართალია, დამოუკიდებელ დამკვირვებელთა უმრავლესობის შეფასებით, არჩევნები ბოლომდე არ შეესაბამებოდა დემოკრატიულ სტანდარტებს, ოპოზიციამ ვერაინ დაარწმუნა იმაში (საკუთარი პოლიტიკური მომხრეების გარდა), რომ დარღვევები იმ მასშტაბისა იყო, რომ შედეგები არსებითად შეეცვალა. 2003 წლის ნოემბრისგან განსხვავებით, ვერ მოხერხდა რაიმე რაოდენობრივი მტკიცებულებების "დადება" ხმის პარალელური დათვლის თუ სარწმუნო ეგზიტ-პოლების სახით. საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს შეუძლია არც ერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციას (ქართულს თუ საერთაშორისოს) არ ენდოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: არავინ უჯერებს, რომ მთავრობა "თვითმარქვია". ასე ოპოზიციას ყველა ქვეყანაში შეუძლია, ყველა არჩევნების შედეგი ეჭვქვეშ დააყენოს და პერმანენტული არჩევნები მოითხოვოს, სანამ თვითონ არ გაიმარჯვებს.

მეორე წინააღმდეგობა ლოგიკურია. თუ ეს მთავრობა არჩევნების სერიული გამყალბებელია, რა აზრი აქვს ახალი და ახალი არჩევნების (ან - ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით - რეფერენდუმების) გამართვას? ამით რატომ აღარ გააყალბებს მთავრობა? კიდევ ერთი არგუმენტი, რომელ-

საც ოპოზიციის აყენებს, ისაა, რომ "ამათი" მთავრობაში ყოფნის ყოველი დღე გვაახლოებს "ეროვნულ კატასტროფასთან", ამიტომ ის სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. ამ ფონზე ის ხდება გაუგებარი, აქამდე რატომ არის ოპოზიციის ასე ზედმეტად თვინიერი. მაგრამ ეს არგუმენტი კი არაა, მეტაფორაა. მთავრობა არც ერთ ოპოზიციას არ მოსწონს. ჩვენს შემთხვევაში, ასეთი თემები წამოიწვეს: მთავრობა ცუდია იმიტომ, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური არა აქვს, იმიტომ, რომ არ მიუღია დოკუმენტი სათაურით "ეკონომიკური განვითარების სტრატეგია", იმიტომ, რომ პრივატიზაციის კონკრეტული ტენდერები არაგამჭვირვალედ ჩატარდა, იმიტომ, რომ აგვისტოს ომის შედეგად დაზარებულთათვის მას ახალი სახლები კი არ უნდა აეშენებინა, არამედ სოფლად დარჩენილი ცარიელი სახლები შეესყიდა, და ა. შ. და ა. შ. თითოეული ეს კონკრეტული არგუმენტი შეიძლება ძალიანაც ყურადსაღები და განსახილველი იყოს. მაგრამ ვადამდელი არჩევნებს ამის გამო არსად ნიშნავენ: ეს ხელისუფლებათა ოპოზიციის შორის ჩვეულებრივი კამათის საგანია.

არის, რა თქმა უნდა, აგვისტოს ომის ფაქტორი. ომი, დაკარგული ტერიტორიები განსაკუთრებული შემთხვევაა. მერე? სადმე უთქვამს ოპოზიციას გარკვეულად, კონკრეტულად როგორ უნდა მოქცეულიყო მთავრობა? არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ომის გამო ხელისუფლებას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუპირისპირდა? მოხდა რღვევა ხელისუფლების შიგნით? არაფერი ამის მაგვარი არ ჩანს.

რა ვუშველოთ ქალბატონ მარინას?

ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების აზრი ყველაზე გამართული ფორმით მოვისმინე რადიო "უცნობზე", ბიჭიკო და ჭიჭიკოს ცნობილ იუმორისტულ შოუში, რომელსაც დროდადრო გული ვერ უძლებს და სერიოზულდება. ასეთი გასერიოზულების წუთებში (პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის მეორე დღეს) დაურეკა მათ ქალბატონმა, სახელად მარინამ, და განაცხადა: "ამას რომ 2013 წლამდე ვუყურო, მოვკვები". აი, ეს არის ყველაზე ალალ ნათქვამი. ხომ არ მოვაკვლევიანებ "ამათ" ქალბატონ მარინას - და მასთან ერთად ბევრ ჩვენს ემოციურ თანამემამულეს, ვისაც პრეზიდენტის და ზოგიერთი მისი მინისტრის დანახვაზე კრუნჩხვები ემართება?

ამაზე პასუხი, უხეშობაში ნუ ჩამოშორდები და, ერთია: ცივი წყალი უნდა დალიოთ, ქალბატონებო და ბატონებო, ან სხვა რაიმეთი შეიქცით თავი. ამერიკის ნახევარს, ბოლოს კი ნახევარზე მეტს, კრუნჩხვები ემართებოდა ჯორჯ ბუშის დანახვაზე, ეს როგორ შეიძლება ჩვენი პრეზიდენტი იყოსო. მანამდე, სხვა ამერიკელები დასანახად ვერ იტანდნენ ბილ და, განსაკუთრებით, პილარი კლინტონებს. მაგრამ ორივე შემთხვევაში გაძლეს 8-8 წელი, იმიტომ რომ ხსენებული პრეზიდენტები დადგინილი პროცედურებით იყვნენ არჩეული. ახლა ბევრი ფრანგი (განსაკუთრებით პარიზე-

ლი ინტელექტუალი) ძალიან ნერვიულობს - ფრანგობის გვრცხვენი, სარკოზი რომ არის ჩვენი პრეზიდენტი. მერე რა? არც არაფერი. გავა ვადა, და კიდევ იქნება არჩევნები.

რეფერენდუმის ლედის ფოთოლი

ოპოზიციის განსაკუთრებით ინტელექტუალური ნაწილი "ახლეების" და "რესპუბლიკელების" სახით, როგორც ჩანს, გრძნობს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის სისუსტეს და მისი "გაკეთილშობილება" გადაწყვიტა. ამისთვის შემოვიდა რეფერენდუმის იდეა: არა, მარტო ჩვენ კი ნუ დაგვიჯერებს პრეზიდენტი, ხალხს ვკითხოთო.

"გაკეთილშობილების" ეფექტი აქ მხოლოდ გარეგნულია, არსებითად კი ეს იდეა კიდევ უფრო უარესია. კონსტიტუცია მკაფიოდ განსაზღვრავს პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების ვადებს. თუ ესენი რეფერენდუმით უნდა გადაწყვიტოთ, კონსტიტუცია რაღად გვინდა? მაშინ პირდაპირ კონსტიტუციის შეცვლა მოვითხოვოთ - იქნებ არ გვინდა ფიქსირებული ვადები?

შარშანდელი იანვრის "პრეცედენტი", როცა პლებისციტი გაიმართა გაზაფხულზე პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, სულაც არ არის ოპოზიციისთვის სასარგებლო. ეს იყო სწორედ პლებისციტი, ანუ მას არ ჰქონდა სავალდებულო ძალა. მას აზრი ჰქონდა იმდენად და მხოლოდ იმდენად, რომ თავად ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, მის შედეგს დათანხმებულიყო. თავის მხრივ, ხელისუფლებამ ასეთი ვალდებულება აიღო, რადგან პრეზიდენტმა 7 ნოემბრის დრამატული მოვლენების კონტექსტში გადადგომაზე გადაწყვეტილება მიიღო, და ამან არსებითად შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია.

რატომაა ძალიან კუდი ვადამდელი არჩევნების ან რეფერენდუმის ლოზუნგი?

მოკლედ, რაც გინდა ვაკეთილშობილოთ რადიკალური ოპოზიციის მოთხოვნები, პრაქტიკული პოლიტიკის ლოგიკა მიდის ერთ რამემდე: ოპოზიციამ უნდა მოახდინოს საზოგადოების მობილიზება ხელისუფლების დასამხობად. ცხადია, რომ როცა ვადამდელი არჩევნების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ის ხელოვნურად უნდა შეიქმნას. ეს ხელოვნური საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კრიზისი, როცა ხელისუფლება პრაქტიკულად ვეღარ შეძლებს ქვეყნის მართვას და წასვლის გარდა სხვა გზა არ ექნება. ვადამდელი არჩევნებს აზრი აქვს მხოლოდ შემდეგი სცენარის შემთხვევაში: ჯერ გადადება პრეზიდენტი სააკაშვილი, მთავრობა მიდის, ოპოზიციის ხელისუფლების ბერკეტებს რეალურად ეუფლება და შემდეგ ატარებს სამართლიან, გამჭვირვალე და ა. შ. არჩევნებს, რომელშიც, რა თქმა უნდა, იმარჯვებს. საქართველოში ტარდება კიდევ ერთი ძველამოსილი დემოკრატიული რევილუცია.

ტიპოლოგიურად ეს წარმოსახვითი (იმედია!) რევილუცია 1991-92 წლების და არა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების მსგავსი უნდა იყოს. ამ ბოლო შემთხვევაში მთავრობის შეცვლა მოხდა კონსტიტუციურ ვადაში გამართული არჩევნების კონტექსტში. მართალია, ის ნოემბრის არჩევნები არც ერთ ცალკე ადებულ ოპოზიციურ ძალას არ მოუგია, არსებობდა უტყუარი საბუთები იმისა, რომ კოლექტიურად ოპოზიციამ მოიგო, ხელისუფლებამ კი პირწმინდად წააგო. ახლა არაფერი ამასთან მიხედვით არ არსებობს. პრეზიდენტი სააკაშვილი არის თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში და მისი ბოლომდე მიყვანის მტკიცე ნება აქვს. მას ამის სრული სამართლებრივი და მორალური საფუძველი გააჩნია. მისი გადაყენების ერთადერთი გზა შეიძლება იყოს მხოლოდ ძალა.

ოპოზიციას არც 2007 წლის ნოემბრის პრეცედენტი გამოადგება (რომელზეც პირდაპირ აპელაცია აკეთებს). დიას, მაშინ პრეზიდენტი გადადგა. მაგრამ კონტექსტი იყო არსებითად სხვა. ჯერ ერთი, მან "გასწორა" თავისი პირველი ვადის მხოლოდ ერთი წელი, და მეორე ვადით მოსვლის მტკიცე იმედი ჰქონდა. ახლა გადადგომა სრულიად წასვლას ნიშნავს. მეორეც, 8 ნოემბერს პრეზიდენტი იმიტომ კი არ გადადგა, რომ ამას ოპოზიციის სთხოვდა: ამით ირიბად აღიარა, რომ 7 ნოემბერს მეტი მოუვიდა. მისი ნაბიჯი ქვეყნის - და, საბოლოოდ - თავად სააკაშვილის საერთაშორისო იმიჯის გადარჩენის საუკეთესო გზა იყო.

რაც ნიშნავს, რომ დღეს იმავე შედეგის მისაღწევად გაცილებით უფრო მასშტაბიანი კრიზისის პროვოცირებაა საჭირო. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ "გონიერებაზე" პრეტენზიის მქონე ოპოზიციის (ახლები-რესპუბლიკელები-ალასანია) გასაგონად უნდა ითქვას, რომ მათი ტაქტიკა სრულიად არაადეკვატურია მათი გამოცხადებული მოთხოვნებისა. თავისთავად მათი სურვილი, ოპოზიციურ აჯაფხანდალში არ აითქვიფონ და რაღაც ღირებულებებზე აგებული, წესიერ საზოგადოებაში გამოსაჩენი გაერთიანება შექმნან, სრულიად ბუნებრივი და რაციონალურია. უფრო სწორად, ის რაციონალური იქნებოდა იმ შემთხვევაში, ხსენებული გაერთიანება 2013 წლის არჩევნებისთვის რომ ემზადებოდა. მაგრამ რევილუციური განწყობის ფონზე ოპოზიციის შიგნით პლურალიზმი აზრს კარგავს. რევილუციის სჭირდება ერთ მუშტად შეკრული ოპოზიციის - როგორც იყო 2007 წლის შემოდგომაზე. ცხადია, ასეთ გაერთიანებას აამოძრავებს არა ოპოზიციური ღირებულებები, არამედ ხელისუფლების სიძულვილი. ვინც მას არ უერთდება, მარგინალიზაციის განიცდის. მაგრამ რევილუცია თუ გინდა, ეგერა.

აქ, რა თქმა უნდა, რუსეთის ფაქტორის ხსენებას ვერსად წაუვალთ. სრულიად არანაირი იქნებოდა იმის თქმა, რომ ოპოზიციას რუსეთი აკონტროლებს. ხელისუფლება ძირითადად თავს იკავებს თავის შიდაპოლიტიკურ რიტორიკაში რუსეთის კარტის გათამამებისგან, და სწორად იქცევა. მაგრამ რაც

გინდა პოლიტიკორექტულები ვიყოს, ერთ ფაქტს ვერსად წაუვალთ: რუსეთის ხელისუფლება პირდაპირი ტექსტით აძლევს დაკვეთას ქართველ ხალხს, სააკაშვილი მოაშორეთო. ასე აშკარად და შეუნიღბავად ის ამას არასოდეს ამბობდა. საქართველოში ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა მისი ოცნებაა. იმის უარყოფა, რუსეთს ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში თავისი გავლენის აგენტები რომ ჰყავს, ასევე დიდად გულუბრყვილოა (თუმცა უტყუარი საბუთის გარეშე კონკრეტული გვარების ხსენებისგან თავი უნდა შევიკავოთ).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რაც გინდა იყოს ამათუიმ პოლიტიკოსის სუბიექტური განწყობა, ფართომასშტაბიანი შინააშლილობაზე ორიენტაცია ობიექტურად ნიშნავს რუსეთის თამაშის თამაშს. ამ დროს იმის გარკვევა, სად არის რუსეთის ნამდვილი "აგენტი" და სად - დაბნეული დემოკრატია, საკმაოდ რთულია. ასევე ძალიან რთული იქნება ვინმეს მიერ იმის გათვლა, რა იქნება ასეთი მასშტაბური დესტაბილიზაციის რეალური შედეგი. თეორიულად შეიძლება არსებობდეს იმის შანსი, რომ შედეგი უფრო დემოკრატიული საქართველო იქნება - მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა.

ოპოზიციამ საკუთარი თავი ჩიხში მოიმწყვდია

ამ წერილის დაწერა ცოტა მეუხერხულეობდა - იმდენად თავისთავად ცხადი მერვენებოდა ის არგუმენტები, რაც ახლახან ჩამოვაყალიბე. იქნებ მართლა გულუბრყვილობაა ამ ანბანური ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ ჩამოლაგება? მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ ბევრი განსწავლული, მათ შორის დემოკრატიულ ქვეყნებში ნასწავლი ადამიანი ვადამდელი არჩევნების ჩვენებას ჯიუტად "ანვება". რატომ?

ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ერთხელ მიიმწყვდია თავი რევილუციური რადიკალიზმის კუთხეში და თავის შეცდომას ვეღარ აღიარებს. განსაკუთრებული პოლიტიკური ინფანტილიზმის გამოვლენა იყო შარშან პარლამენტში არშესვლა: ფაქტობრივად ამით ოპოზიციამ განაცხადა, რომ არჩევნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მისთვის აზრი, თუ თავად გაიმარჯვებს. მთავარი ისაა, რომ ოპოზიციის უსაქმოდ დარჩა. ეჭვი მაქვს, ვადამდელი არჩევნებს ოპოზიციის იმიტომ კი არ ითხოვს, რომ მათი გამართვის (ან - თუ რატომღაც გაიმართა - მათში გამარჯვების) სერიოზული იმედი აქვს, არამედ იმიტომ, რომ რაღაც მაინც უნდა აკეთოს. ახლად გამოპოზიციონერებულებისთვის - ნინო ბურჯანაძისთვის, ირაკლი ალასანიასთვის - ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის გაზიარება აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ოპოზიციის თავისიანად ელიარებინა. მხოლოდ ზურაბ ნოლიდელს ეყო გამბედაობა, ამ გზით არ წასულიყო (საპარლამენტო ოპოზიციისაზე აქ არ ვსაუბრობ).

როგორ გამოვიდეს ოპოზიციის ჩიხიდან, ეს მისი მოსაფიქრებელია. თუმცა პრობლემა ქვეყნისაა - რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ ამათუიმ

თურქეთის ბიზნეს-ელიტის ვიზიტი საქართველოში

ბიზნეს-ელიტის ვიზიტი საქართველოში

23 თებერვალს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა თურქეთის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იქნებიან თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურმათ თუზმენი, პალატებისა და ბიზნესის ვიცე-პრეზიდენტი თაჰირი რიფათი ხისარჯილი ოღლუ, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მალალი რანგის წარმომადგენლები, პარლამენტარები და 150 წამყვანი ბიზნესმენი. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება

თურქეთის ბიზნეს-ელიტის წარმომადგენელთა შეხვედრები საქართველოს ბიზნეს-წრეების პირველ პირებთან, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. საქართველოში თურქეთის საელჩოს სავაჭრო სამსახურის ინფორმაციით, ის თურქი ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სტუმრად, თავის სფეროში წარმატებული, საერთაშორისო ბიზნეს-არენაზე ცნობილი პერსონები არიან. თურქი სტუმრები წარმოადგენენ სხვადასხვა სექტორს, სამშენებლო

ბიზნესით დასაწყობი და კვების პროდუქტების წარმოებით დამთავრებული. ისინი თბილისში პროფილური სამინისტროებისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართავენ მოლაპარაკებებს. ასეთი ბიზნეს-ფორუმები ტრადიციულია და უკვე რამდენიმე წელია ტარდება, რისი წყალობითაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა სულ უფრო იზრდება. თურქი სტუმრები, საგარეოდ, ამჯერადაც საინტერესო ბიზნესინიადადებებს შესთავაზებენ ქართველ პარტნიორებს, რომელთა ხორცმესხმაც ორივე მხარისთვის

დასარგებლო და მომგებიანი იქნება. 23 თებერვალს თბილისში დაწყებული ღონისძიების მონაწილენი 25 თებერვალს უკვე ბათუმში გადაინაცვლებენ და იქ გამართავენ შეხვედრებს. საქართველოში თურქეთის საელჩოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, აღნიშნული ღონისძიების მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციის განყოფილება, სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და დამსაქმებელთა ასოციაციამ.

თანამედროვე ტექნოლოგიები საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურაში

სოფო ანსლადი

საქართველოს ხელისუფლებამ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება პრიორიტეტული მიმართულებად დასახელა. მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით მასშტაბური სამუშაოები დაგეგმილი. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საგზაო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გეგმავს. სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით 17 თებერვალს, თბილისში გზების დეპარტამენტის ორგანიზებით თემაზე "საქართველოს საავტომობილო გზები და თანამედროვე ტექნოლოგიები" საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. ამ მასშტაბისა და მნიშვნელობის კონფერენცია საქართველოში პირველად გაიმართა.

დახვდა დღევანდელ მდგომარეობას და ავირჩიეთ ერთადერთი გზა - ეს არის სამუშაო ადგილების შექმნა. ჩვენ ამისათვის სამი მიმართულება შევიმუშავეთ. ერთი - ეს არის დონორებთან ურთიერთობა და მათი ფინანსების მიმართვა სამუშაო ადგილების შექმნისაკენ, მეორე ვახლავთ ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, და მესამე - უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. სამივე შემთხვევაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი კერძო კომპანიებს აკისრია," - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა.

როგორც ცნობილია, საქართველო 26 თვის მანძილზე კრედიტისა და გრანტის სახით 4.5 მილიარდ დოლარს უნდა მიიღოს. გუშინდელ კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ აქედან 1.3 მილიარდი დოლარის გარკვეული ნაწილი საქართველოში უკვე შემოსულია, დანარჩენთან დაკავშირებით კი კონტრაქტს ხელი მოეწერა და უახლოეს მომავალში გადმოირიცხება. აღსანიშნავია, რომ 2.4 მილიარდ დოლარზე საქართველოს ხელისუფლებამ დონორებთან მოლაპარაკებებს ამჟამადაც აგრძელებს. "მოლაპარაკებების პროცესი მალე დასრულდება და იმედი მაქვს, რომ უახლოესი 6 თვის განმავლობაში ხელშეკრულებებს ხელს მოვაწერო. ეს ის პაკეტია, რომელიც რეალურად ემსახურება საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქართული კომპანიების დასაქმებას," - ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

კონფერენციის პირველ ნაწილში საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილმა მიმდინარე პროექტებსა და 2009-2014 წლის გეგმებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, გაგრძელდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. წელს დასრულდება გორამდე 25 კმ-იანი მონაკვეთის მუშაობის პროცესი და დაიწყება გორი-რუისის 15 კმ-იანი მონაკვეთის დაგება, ამენდება 800-მეტრიანი პარალელური ესტაკა და 800-მეტრიანი 2 გვირაბი. ამისათვის ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარია გამოყოფილი.

საქართველოში საავტომობილო გზების მშენებლობის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტი E-60, ავტომაგისტრალის ჩქაროსნულ გზატკეცილად აქედან ნიუბა-მშენებლობა 2006 წელს დაიწყო. ოთხზოლიან ჩქაროსნულ ავტობანზე გზის დაგება ცემენტო-ბეტონის საფარით ხდება. ეს მეთოდი აპრობირებულია განვითარებულ სახელმწიფოებში და გამოირჩევა განსაკუთრებული სიმტკიცით, არის ეკოლოგიურად სუფთა. ექსპლუატაციის პერიოდში რეაბილიტაციას არ საჭიროებს 20-30 წლის განმავლობაში. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ავტომაგისტრალი ეკონომიურია, რადგან აღნიშნული ტიპის საფარზე მოძრაობისას ავტომობილი დაახლოებით 10 პროცენტით ნაკლებ სანავს მოიხმარს. საქართველოზე გამავალი E-60 ავტომაგისტრალი (E-70) მაგისტრალთან ერთად ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთ (ბათუმი-ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) ნაწილს აერთიანებს, ხოლო საერთაშორისო საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელებისათვის საჭიროებს 120 მილიონი აშშ დოლარის დახარჯვას. მისი განხორციელება დაიწყება 2010 წელს და დასრულდება 2014 წელს. საქართველოს ხელისუფლებამ დაანერგა გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის პროექტი. საქართველოს ხელისუფლებამ დაანერგა გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის პროექტი. საქართველოს ხელისუფლებამ დაანერგა გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის პროექტი.

ნებს, ხოლო საერთაშორისო საავტომობილო გზების ქსელში ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს. "სწორედ ამიტომ ავტომაგისტრალი ევროსტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს, რაშიც დღევანდელი კონფერენცია დაგეგმვას უწყობს," - ამბობს რამაზ ნიკოლაიშვილი. მიმდინარე წელს საქართველოში გზები ძირითადად სამი მიმართულებით დაიგება. ერთ-ერთი სწორედ ავტობანია. გარდა ამისა, სამხრეთის მიმართულებით გაგრძელდება გზების რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება, რომლითაც დედაქალაქი უმოკლესი გზით დაუკავშირდება სამცხე-ჯავახეთს. მესამე მიმართულება კი არის ვაზიანი-გომბორი-თელავის გზა. აღსანიშნავია, რომ თელავამდე სრულიად ახალი 68-კილომეტრიანი გზის მშენებლობა იგეგმება, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგაც თბილისიდან თელავამდე მანძილის დაფარვა 55 წუთში იქნება შესაძლებელი.

მიმდინარე წელს იგეგმება ასევე რეგიონული ცენტრებიდან სოფელთან დამაკავშირებელი გზების რეკონსტრუქცია. ამისათვის ბიუჯეტიდან 120 მილიონი ლარია გათვალისწინებული... რა თქმა უნდა, ეს არ არის იმ სამუშაოების სრული ჩამონათვალი, რომლის განხორციელებასაც 2009 წელს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს.

რაც შეეხება საერთაშორისო კონფერენციას, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს უმნიშვნელოვანესია. "ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა საგზაო ინფრასტრუქტურაში მსხვილი ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს. დღევანდელი კონფერენცია სამუშაოს გააძლიერებს, ამ სფეროში დამატებითი ინვესტიციები მოვიზიდოთ. გარდა ამისა, ჩვენ ორიენტირებული ვართ ქართულ საგზაო ინფრასტრუქტურაში თანამედროვე, სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. დღევანდელი კონფერენცია ასევე მნიშვნელოვანია ქართული და უცხოური საგზაო კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირების თვალსაზრისითაც... ამ ყველაფრის შედეგად, საქართველოში გვექნება არა მარტო რვაბილიტირებული გზები, ხიდები, გვირაბები და ა.შ. არამედ ჩვენ გვეყოლება ბევრი დასაქმებული ადამიანი," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ტყემელაშვილმა.

კონფერენციის მეორე ნაწილში გერმანულმა, იტალიურმა, ესპანურმა, ფრანგულმა და თურქულმა საგზაო-სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა მათ მიერ გამოყენებულ თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების პრეზენტაცია მოახდინეს. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში მონაწილე კომპანიებს აპრობირებული აქვთ გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიები კონკრეტული ქვეყნის რელიეფისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით, როგორც კლდოვან, ისე რბილ ნიადაგზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კონფერენციის მონაწილე პოტენციურ ინვესტორებს

ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებაც ისაუბრა. "ამჟამად საქართველოში ინვესტიციის ჩადება ძალიან მომგებიანია. რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველომ შეძლო და ჯერჯერობით ჩვენთან ეკონომიკური სტაბილიზაცია მოხერხდა. ვისაც ჩვენ ვხვდებით, იგივეს აცხადებს. მთელს მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალიან შემცირებულია, თუმცა ჩვენთან ინვესტიციების განხორციელება გრძელდება... ეს არის მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, EBRD, KfW და სხვა ასეთი ორგანიზაციები. შესაბამისად, საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია გარანტირებულია... ხაზი მინდა გაუვსვამას, რომ საქართველოში შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, სადაც გადასახადები ნულის ტოლია. მოუწოდებ ყველა უცხოურ კომპანიას, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ დეტალურად გაეცნოს, რადგანაც აქ ინვესტიციების განხორციელება შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს," - აღნიშნა ნიკა გილაურმა.

კონფერენციის მონაწილე უცხოური საგზაო-სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა გუშინვე გამოთქვეს ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობისა და საქართველოში ინვესტიციების განხორციელების სურვილი. "ჩვენი კომპანია საქართველოში ინვესტიციის განხორციელებისათვის მზად არის. ერთობლივი სანარჩევების გარეშე სამუშაო ადგილების შექმნა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ჩვენი შეთავაზებაც იქნება, რომ ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი კომპანიები ჩამოვაყალიბოთ... ჩვენ ევროპაში მეორე უმსხვილესი საგზაო-სამშენებლო კომპანია ვართ. საფუძველი და ინტერესები რომ არ გვქონდეს, საქართველოში არ ჩამოვიდოდით. ვხვდებით, რომ საქართველო 21-ე საუკუნის ქვეყანაა. კონფერენციაც ცხადყოფს, რომ ის მზადაა ახალი ტექნოლოგიების მისაღებად. რამდენიმე წელიწადში საქართველო დამოუკიდებელი, განვითარებული ქვეყანა იქნება. მეამაყება და მონარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ამ კონფერენციაზე წარვადგინო "STRABAG"-ი და მისი ახალი ტექნოლოგიები," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას გერმანული საგზაო-სამშენებლო კომპანია "STRABAG"-ის წარმომადგენელმა ერიკ ვიშერმა.

რაც შეეხება დასაქმების საკითხს, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილმა განაცხადა, მიმდინარე წელს საგზაო-სამშენებლო სამუშაოებში 22-დან 25 ათასამდე ადამიანი დასაქმდება. ესენი იქნებიან მუშები, ინჟინრები, მენეჯერები და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუკი უცხოური საგზაო სამშენებლო კომპანია საქართველოში ინვესტიციას განხორციელებს და სანარჩევს გასწავლის, ის ვალდებული იქნება, კომპანიაში 70 პროცენტზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდეს.

საქართველოს თურქი ბიზნესმენები ეწვევიან

საქართველოს 23 თებერვალს თურქ ბიზნესმენთა დელეგაცია და ქვეყნის სახელმწიფო მინისტრი ქურმათ თუზმენი ეწვევიან. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში 24 თებერვალს თურქეთ-საქართველოს ბიზნესფორუმში გაიმართება, რომელშიც ქურმათ თუზმენი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური, ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი და ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ლაშა ფჯანია მიიღებენ მონაწილეობას. თურქი ბიზნესმენები ასევე, შევდებიან ქართველ კოლეგებს და პარტნიორული ურთიერთობის დამყარებაზე იმსჯელებენ. თურქეთის დელეგაცია საქართველოს 25 თებერვალს დატოვებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7 პროცენტამდე შეამცირა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2009 წლის 18 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით შემცირების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7 პროცენტს შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2009 წლის იანვარში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 4.4 პროცენტამდე შემცირდა. შედეგად, ინფლაციის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 9.4 პროცენტი შეადგინა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წინა სხდომის შემდეგ არსებული პროგნოზებით, გაზრდილია ინფლაციის კლებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა. ფასების ზრდა განსაკუთრებით შემცირებულია ხანმოკლე მოხმარების საგნებზე, რაც ამცირებს მოსახლეობის ინფლაციის მოლოდინს. ფულადი აგრესიების ზრდის ტემპები კვლავ უარყოფითია, რასაც დაბალი საკრედიტო აქტივობაც უწყობს ხელს. საქართველოს ეროვნული ბანკი, დამატებითი სახსრების მიწოდების მიზნით, უახლოეს პერიოდში ახალი ინსტრუმენტების ამოშავებას გეგმავს. მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზები კვლავ პესიმისტურია. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაახლა გლობალური ეკონომიკის პროგნოზები, რის მიხედვითაც 2009 წელს მოსალოდნელია მხოლოდ 0.5-პროცენტული ზრდა, რაც, ორი თვის წინანდელ პროგნოზთან შედარებით, 1.7 პროცენტული პუნქტით დაბალია. ეკონომიკის ზრდის პერსპექტივები განსაკუთრებით ნაკლებია საქართველოს მეზობელი და ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმდინარე პროგნოზებით, ასევე 2 პროცენტამდე შემცირებული საქართველოს ეკონომიკის 2009 წლისათვის მოსალოდნელი ზრდის ტემპი. საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ და საფინანსო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2009 წლის 18 მარტს გაიმართება.

ბაკურ კვეზერელმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გამართა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბაკურ კვეზერელმა მთავრობას სხდომაზე მისი უწყების 2009 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო. როგორც სხდომის შემდეგ კვეზერელმა გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა, მინისტრთა კაბინეტმა აღნიშნული გეგმა მოიწონა. დოკუმენტის თანახმად, სამინისტროს საქმიანობის მთავარი ამოცანები დარგში არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ახალი საშუაო ადგილების შექმნა იქნება. ბაკურ კვეზერელის თქმით, ამ მიზნით ორი სახელმწიფო პროგრამა: "100 სანარჩევს" და "იაფი სესხის" პროგრამები უკვე ხორციელდება. თუმცა, აჭარის რეგიონის შემთხვევაში ზემოთხსენებული მიზნების მისაღწევად სხვა სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებაც იქნება შესაძლებელი. მინისტრის თქმით, გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად, სოფლის მეურნეობა კვლავაც რენტაბელურ სექტორად რჩება. "იაფი სესხის" პროგრამისათვის წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარი არის გამოყოფილი, რაც ეფექტიანი პროექტების წარმოდგენისა და მათი დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება. კვეზერელის თქმითვე, "100 ახალი სანარჩევს" პროგრამაში ჩართული მენარჩევებისათვის 30 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული არის გამოყოფილი. აღნიშნული მიზნის ფართობები იმ მენარჩევს გადაეცემათ, რომელთა პროექტებიც საუკეთესო აღმოჩნდება და რომლებიც შესაბამისად, ახალ სანარჩევს ააშენებენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს "100 ახალი სანარჩევს" პროგრამისათვის ინვესტიციების მოზიდვას, საირიგაციო არხების ხელით წმენდას დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ფერმერთა საკონსულტაციო სახლების შექმნის ხელშეწყობასა და მექანიზაციის სერვისცენტრების ჩამოყალიბებას. სექტორის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად 2009 წელს სულ 15 მილიონი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება არის დაგეგმილი. წელსვე, ყველა ძირითადი მაგისტრალური საირიგაციო არხით რეაბილიტაცია დასრულდება.

"მეტადონით" ჩანაცვლების თერაპიის კურსი 44-მა პაციენტმა გაიარა

"სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში "მეტადონით" ჩანაცვლების თერაპიის კურსი 44-მა პაციენტმა უკვე ჩაიტარა, მათ შორის რამდენიმემ მკურნალობის კურსი უკვე დაამთავრა. ისინი სასჯელის მოხდას ჩვეულებრივი რეჟიმის საპრობილემო აგრძელებენ," - აცხადებს ნარკოლოგიის ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე ხათუნა თოდაძე, რომელიც, ამავდროულად, გლობალური ფონდის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების დირექტორია.

2008 წლის დეკემბერში სასჯელალსრულების დეპარტამენტში პილოტური პროგრამა ამოქმედდა, რაც ითვალისწინებს ნარკომანების მკურნალობას "მეტადონით" ჩანაცვლების თერაპიით. როგორც ხათუნა თოდაძე აცხადებს, ყველა პაციენტს ინდივიდუალურად მკურნალობენ. პროექტი დაფინანსებულია შიდასთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ. "სამი წლის განმავლობაში განხორციელდება პროექტი პაციენტებისთვის და წლის განმავლობაში 25 პაციენტს, "მეტადონის" ჩანაცვლებით თერაპია ჩაუტარდება," - ამბობს პროგრამის დირექტორი. მისივე განმარტებით, "მეტადონის" ჩანაცვლების თერაპია მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას აუმჯობესებს. **მედიანიუსი**

სოზარ სუბარის მიმართვა იუსტიციის მინისტრს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადიგოვს, 13 თებერვალს ქობულეთში მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსათვის" წევრების საპროტესტო აქციის დაშლის ფაქტთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართავს.

როგორც ომბუდსმენი აცხადებს, ის მოითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის რამაზ გვარჯანიძის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე კაკაბაძისა და ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომელთა ქმედებითაც, სოზარ სუბარის მტკიცებით, აქციის მონაწილეებს კონსტიტუციური უფლებების განხორციელება უკანონოდ შეეზღუდა.

აქციის მონაწილეთა განმარტებით, მათ ქობულეთის გამგეობის შენობასთან შეკრება 13 თებერვალს დღის პირველ საათზე დაიწყო. ხალხის სიმრავლის გამო, ისინი ტრანსპორტის საჯარო ნაწილზე გადავიდნენ, რასაც საავტომობილო მოძრაობის შეფერხება მოჰყვა. "აქციაზე პოლიციელებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც საღამოს გააქტიურდნენ. განსაკუთრებით, რამაზ გვარჯალაძე აქტიურობდა. პოლიციელები გზის საჯარო ნაწილის დატოვებას ფიზიკური ზეწოლით გვაიძულებდნენ. სიტუაციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, გზის საჯარო ნაწილი დატოვებულ და პოლიციამ უკან დაიხია," - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

მომხდართან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები აქციის მონაწილეებს, არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" აჭარის ფილიალის ხელმძღვანელობასა და რამაზ გვარჯალაძეს ჩამოართვეს. როგორც ამ ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, დაგეგმილი აქციის შესახებ "სამართლიანი საქართველოსათვის" წევრებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ვერ კიდევ 2 თებერვალს გააფრთხილეს. როგორც ახსნა-განმარტებებშია ნათქვამი, აქციის მონაწილეებს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის არც ერთი მუხლი არ დაურღვევიათ. სოზარ სუბარის თქმით, "სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რაც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვაში გამოიხატება". **მედიანიუსი**

პროფკავშირებს შსს-ს დაკვეთების შესრულებაში ადანაშაულებენ

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჯონდი ბალათურია პროფკავშირების გაერთიანებას შს სამინისტროსთან კავშირში ადანაშაულებს.

დეპუტატის მტკიცებით, პროფკავშირები სოციალურ პრობლემებზე არ მუშაობენ და არ იცავენ მოქალაქეთა ინტერესებს. როგორც დეპუტატი აღნიშნავს, პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენლები სახელმწიფოს დაკვეთით ამ პრობლემებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანას ცდილობენ.

"ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც წლების განმავლობაში პირში წყალი ჰქონდათ დაგუბებული, ახლა კი შსს-გან მიიღეს ახალი დავალება - როგორმე სოციალური თემების მონოპოლიზება მოახდინონ და არ მიუშვან პოლიტიკური ოპოზიციური პარტიები აქტიუალურ თემებზე სამუშაოდ," - აცხადებს ბალათურია. **მედიანიუსი**

სოდ-მა 700 აბი "სუბუტექსი" და 6 კილოგრამი "ჰეროინი" გაანადგურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 700 აბი "სუბუტექსი" და 6 კილოგრამი "ჰეროინი" გაანადგურეს.

სამინისტროს ინფორმაციით, შს მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რომელსაც სასამართლო განაჩენის შემდგომ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების ლიკვიდაცია ევალება, 7000 აბი "სუბუტექსი", 6 კილოგრამი "ჰეროინი" და სხვა ფსიქოტროპული საშუალებები განადგურდა.

ნარკოტიკული საშუალებების ლიკვიდაციას გენერალური პროკურატურის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **პირველი**

"პატიმრობის კოდექსის" დახვეწა სპეციალური ჯგუფი იმაზავებს

ჯერ კიდევ წინა პარლამენტში ინიცირებული "პატიმრობის კოდექსის" პროექტის განხილვას ამჟამინდელი პარლამენტი, მთავრობის წევრებთან ერთად უბრუნდება.

"პატიმრობის კოდექსის" პროექტი, რომელიც ბევრი ნოვატიით არის მნიშვნელოვანი და რომელიც საკანონმდებლო ორგანოს თაროზე კარგა ხანს იყო შემოდებული, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილმა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა პავლე კუბლაშვილმა გაიხსენეს და სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინთან და იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილე თინა ბურჯალიანთან ერთად მისი განხილვა დაიწყო.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, "პატიმრობის კოდექსის" ახალ პროექტზე სპეციალური მუშა ჯგუფი იმუშავებს, რომლის შემადგენლობაშიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, იუსტიციის სამინისტროს და სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ექსპერტები შევლენ.

"პატიმრობის კოდექსის" მიზანი საქართველოში დღეს მოქმედი პენიტენციური სისტემის რეფორმირება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ახალი "პატიმრობის კოდექსი" უფრო ლიბერალური იქნება, რაც უწყვეტი პოლიტიკური პროცესის ნაწილია," - განაცხადა გიორგი არსენიშვილმა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა კი იმედი გამოთქ



"პატიმრობის კოდექსის" მიზანი პენიტენციური სისტემის რეფორმირებაა.

ვა, რომ კანონპროექტი გაუმჯობესებულ სახეს უახლოეს მომავალში მიიღებს და დღევანდელ რეალობასთან შედარებით ადვილად აღსრულებადი იქნება. "ეს იქნება ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებები, რომელიც იმ დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღის ფარგლებში ხორციელდება, რაზეც პრეზიდენტმა ისაუბრა," - ეს მოსაზრება სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს ეკუთვნის.

ახალ "პატიმრობის კოდექსზე" მსჯელობა უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს და მისი საბოლოო დახვეწა სამუშაო ჯგუფის ფორმატში გაგრძელდება. სამუშაო ჯგუფში აქტიურად ჩაერთვება ახლად შექმნილი სამინისტრო, რომელიც უცხოელი ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებების გათვალისწინებით კოდექსთან დაკავშირებით თავის ხედვას და მოსაზრებებს დააფიქსირებს.

ეს ის კანონპროექტია, რომლის მომზადებაც, თავის დროზე, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა გახლდათ. "პატიმრობის კოდექსის" პროექტი პარლამენტს კარგა ხნის წინ უნდა განეხილა და მიეღო კიდევ,

თუმცა, აქამდე ეს პროცედურა იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ შედგა, რომ საკანონმდებლო ორგანომ მთავრობას კანონპროექტი ბევრჯერ დაუწუნა.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას თვეების განმავლობაში, პარლამენტში არასრულფასოვან დოკუმენტად მიჩნევენ და განხილვის დაწყებას არ ჩქარობდნენ.

"პატიმრობის კოდექსზე" მომუშავეთა აზრით, ამ კანონის მიღების შემდეგ ქართული პენიტენციური სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდება. საბჭოური, დახურული სისტემის ნაცვლად, ნახევრადდახურული და ღია ტიპის საპატიმრო დაწესებულებები ამოქმედდება და ამ ნოვატიას სწორედ "პატიმრობის კოდექსის" პროექტი ითვალისწინებს.

პროექტის თანახმად, ნახევრადდახურულ და ღია ტიპის საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ქცევის მიხედვით გადაწინადებიან.

ამასთან, სამუდამო პატიმრობამისჯილი მსჯავდებული ღია ტიპის საპატიმროში ვერასოდეს მოხვდება, ისევე, როგორც ქალები და არასრულწლოვნები - დახურული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში

არ განთავსდებიან. კანონპროექტზე მუშაობის შეჩერება, თავის დროზე არაერთხელ გააპროტესტა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელმა ელენე თევდორაძემ, რომელიც პროექტის განხილვის შეჩერებაში გენერალურ პროკურატურას ადანაშაულებდა.

როგორც ელენე თევდორაძე განმარტავდა, ღია ტიპის დაწესებულება პატიმრის საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით იქმნება. ასეთ დაწესებულებაში მყოფ პატიმარს მიენიჭება უფლება, ექვს თვეში ერთხელ ხუთდღიანი ვადით სახლში წავიდეს. თუმცა, კანონის ეს მუხლი 2009 წლის ბოლოდან, მას შემდეგ შევა ძალაში, რაც სასჯელალსრულების დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

კანონპროექტში პატიმრებისთვის გრძელვადიანი პაემნების აღდგენაცაა გათვალისწინებული.

თუ ხანმოკლე პაემანი ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ 2-საათიან შეხვედრას გულისხმობს, ხანგრძლივი პაემანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, ადმინისტრაციის დაუსწრებლად, ერთიდან ორ დღე-ღამემდე ვადით სასურველ პირთან ერთად ცხოვრებას ითვალისწინებს.

"პატიმრობის კოდექსის" მიხედვით, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შესაძლოა, მისთვის სასურველ ნებისმიერ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლება მიეცეს. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე ციხის დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი პატიმარს წერილობითი წარედგინება. ბრალდებული მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით ისარგებლებს. ამასთან, მას თვეში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლება მიეცემა, რომელიც შესაძლებელია, გამოიძიების ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე შეეზღუდოს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დახმარებას ითხოვს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ყოფილ დეპუტატ ჯემალ საჯაიას შიშობილობის ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა გაავრცელა და პარლამენტს, სამართალდამცველ ორგანოებსა და საქართველოს სახალხო დამცველს დეპუტატ ჯემალ საჯაიას საქმით დაინტერესება და მისი მოთხოვნების სამართლიანობისა და კანონიერების საბოლოოდ დასადგენად გადაუდებელი ღონისძიებების გატარება მოითხოვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განაცხადებაში აღნიშნულია, რომ 2009 წლის 11 თებერვლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯემალ საჯაიამ შიშობილობა დაიწყო. მის მიერ პროტესტის უკიდურესი ფორმით გამოხატვის მიზეზი მისი ოჯახის მიმართ გატარებული უხეში ღონისძიებები გახდა. დაბა წყნეთში მდებარე დროებითი საცხოვრებელი ფართიდან საჯაიას ოჯახი გამოაძევეს და სამეურნეო ნივთებს კონფისკაცია გაუკეთეს.

"მომდარი ფაქტის გამო, ჯემალ საჯაიას მეუღლე ჩავარდა უშიშროების მდგომარეობაში და გადაყვანილია საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს აღმფოთებას აღნიშნულთან დაკავშირებით. სამართალდამცველი ორგანოების ასეთი ქმედებები აბსოლუტურად დეპუტატ ჯემალ საჯაიას მიერ საცხოვრებელი ფართით დროებითი სარგებლობის კანონზომიერება შეისწავლა იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინ-

სპექციამ და პროკურატურამ და დაადასტურეს ჯემალ საჯაიას მიერ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის კანონიერება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჯემალ საჯაია დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით და შიშობილობის ყოველი დღე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ის კატეგორიულად არ იზიარებს ექიმების, კოლეგებისა და მეგობრების თხოვნას შიშობილობის შეწყვეტის თაობაზე," - ნათქვამია განაცხადებაში, რომლითაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს, სამართალდამცველ ორგანოებს და სახალხო დამცველს მიმართა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ყოფილი დეპუტატის ჯემალ საჯაიას და მისი ოჯახის წევრების წყნეთში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების

ფაქტით უკვე დაინტერესდა.

საკითხი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ დააყენა. ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა კოლეგის წინადადება გაიზიარა და საპარლამენტო კომიტეტს შესაბამისი დავალება მისცა.

"აღნიშნულ სახლთან დაკავშირებით სასამართლო დავა ერთ-ერთ ფიზიკურ პირთან დიდი ხანია მიმდინარებს. მისი გამოსახლების სამართლებრივი საფუძვლები შესაძლოა, არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამაზრზენია გამოსახლების ფორმა, მისი მეუღლე ნაცემია, თავად საჯაია კი გასული კვირიდან შიშობილობა," - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ, რომლის ინიციატივის მოსმენის შემდეგ გიგი წერეთელმა პარლამენტის შესაბამის კომიტეტს საკითხის შესწავლა დაავალა.

საკუთარი ინფორმაცია

ჩერნომირდინი - მოსკოვისა და კიევის მორიგი უთანხმოების მიზეზი

მარიკა იახვილი

"პერსონა ნონ გრატა," - ეს სტატუსი შესაძლოა რუსეთის ელჩმა უკრაინაში ვიქტორ ჩერნომირდინმა მიიღოს. ასეთი შესაძლებლობის არსებობა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ ივანოვიმ დაადასტურა და მიზეზად ელჩის მიერ გაკეთებული უტაქტო განცხადებები დაასახელა.

"რუსეთის ფედერაციაში უკრაინის ელჩ კონსტანტინ გრიშენკოს საკუთარი თავისთვის ასეთი განცხადებების გაკეთების უფლება რომ მიეცა, ის 20 წუთში უკვე კიევი იქნებოდა. ამიტომ ჩვენი რეაქცია ადეკვატური და თანამედროვეა. გაფრთხილება მიცემულია და მომავალში ყველაფერი თავად ჩერნომირდინზე იქნება დამოკიდებული. ელჩი ისე უნდა მოიქცეს, რომ უკრაინაში ყოფნის პერიოდში მისი მხრიდან ასეთი გამოხატულებები აღარ გაუჩნდეს," - განაცხადა ივანოვი.

ქვეყნის მთავარი დიპლომატის განცხადებამდე ერთი დღით ადრე უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩერნომირდინს პროტესტი გამოუცხადა და გააფრთხილა, რომ დასახელებული "პერსონა ნონ გრატა" "არამეგობრული და უკიდურესად არადიპლომატიური შეფასებების, კომენტარებისა და გამოხატუებების უკრაინისა და მისი ხელისუფლების მისამართი."

უკრაინელთა მკვეთრი რეაქციის მიზეზად ჩერნომირდინის



ვიქტორ ჩერნომირდინი

მიერ გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდა ნა უკრაინესთვის" მიცემული ინტერვიუ იქცა.

კონკრეტულად, ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო მუდმივად კინკლაობენ და ერთმანეთის დაჩრდილვას ცდილობენ. "ერთი შეხედვით ვითომ ნორმალურია ტიპია: ხატავს, თავის ქალებს აგროვებს. შეუძლია სამი საათი იოცნებოს, იფანტავს, იხატავს ისეთი რაღაცები აქვს შეგროვებული. მაგალითად, ნისქვილები. კიევი ქარის ნისქვილები დადგა," - ახასიათებს ჩერნომირდინი ქვეყნის მეთაურს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიევის დეპარტამენტში სამწუხარო ფაქტად შეაფასა, რომელიც ურთიერთობის ხელოვნურად დაძაბვისკენ არის მიმართული.

სმოლნის მოედანზე აღნიშნეს, რომ "ვიქტორ სტეპანოვიჩი თავისებური და მკვეთრი გამოთქმებით გამოირჩევა."

ოგრიზკოს განცხადებას უკრაინაშიც გასცეს პასუხი. რეგიონების ოპოზიციური პარტიის დეპუტატმა, უმაღლესი რადას რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე დეპუტატთა ჯგუფის თანათამაჯდომარემ სერგეი კივალოვმა განაცხადა, რომ ოგრიზკო უნდა გადააყენონ, რადგან "მისი ქმედებები რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დარღვევას იწვევს."

პირველ ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ტურჩინოვის თქმით, ოგრიზკო მკვეთრი განცხადებების გაკეთების შესახებ ხელისუფლებას არ შეთანხმებია და მინისტრის მოტივაცია კითხვებს ბადებს.

საგარეო საქმეთა მინისტრს კიევი იუშჩენკოს მომხრედ იც-

ნობენ, ხოლო ჩერნომირდინის სიმპათია, ექსპერტთა აზრით, იულია ტიმოშენკოსკენ იხრება.

უკრაინის პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კი პოლიტიკური ბრძოლა არ წყდება და ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი თემა მოსკოვთან ურთიერთობაა. კონკრეტულად კი მთავარი საკამათო თემა გაზია. იუშჩენკო და მისი მომხრეები უარყოფითად აფასებენ შეთანხმებას, რომელიც იულია ტიმოშენკომ ვლადიმირ პუტინთან გაზის საკითხზე იანვარის შუა რიცხვებში გააფორმა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჩერნომირდინის განცხადებამ საქმე არ მივა. ელჩის გამოცხადება "პერსონა ნონ გრატად," საერთაშორისო ურთიერთობებში უპრეცედენტო მოვლენაა.

მომხდარს სხვადასხვა ორგანიზაციები და პოლიტიკოსები აფასებენ. შემფასებელთა გაცხადებას კი ის ინვესტ, თუ რატომ გაჩნდა პრეტენზიები ჩერნომირდინის მიმართ მხოლოდ ახლა, თუკი ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავმჯდომარეული კომენტარებით.

რუსი პოლიტიკოსი, ექსცენტრულობითა და ასევე მკვეთრი განცხადებებით ცნობილი ვლადიმერ ყირინოვსკი მიიჩნევს, რომ ამ სკანდალში იუშჩენკოს არჩევნების წინ რეიტინგის გაზრდა სურს.

მიუხედავად მრავალფეროვანი შეფასებებისა და სკანდალისა, 70 წლის ჩერნომირდინი კვლავ პოსტზე რჩება და უკრაინაში ელჩობის მეცხრე წელს ითვისებს.

ისრაელის გეგმა ირანის წინააღმდეგ

ბრიტანული გამოცემა "დეილი ტელეგრაფის" თანახმად, ისრაელი ირანის წინააღმდეგ ფარულ ომს ეწევა ისლამური რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის ჩაშლის მიზნით, რისთვისაც ოფიციალური თელ-ავივი ისეთ მეთოდებს იყენებს, როგორცაა ორმაგი აგენტების გადაბირება, ფიქტიური კომპანიების შექმნა, თავდასხმა და საბოტაჟი.

გამოცემის მონაცემებით, ისრაელს არ აქვს იმის იმედი, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოინონებს ირანის ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო თავდასხმის გეგმას. სწორედ ამის გამო, ისრაელის სპეცსამსახურები მიმართავენ ქმედებებს, რომლებიც ბირთვული პროგრამის შეფერხებას ან საერთოდ გაჩერებას გამოიწვევს.

შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის თქმით, რომელიც ირანის საკითხზე მუშაობდა, ისრაელის სპეცსამსახურები ბირთვული პროგრამის საკვანძო ფიგურების განადგურებასა და ბირთვული სანავის მიღებაში ირანისთვის ხელის შეშლაზე არიან კონცენტრირებულნი. ბალას განცხადებით, ამ ოპერაციაში შეერთებული შტატების

ველოს ყოფილი თანამშრომლის თქმით, რომელიც ირანის საკითხზე მუშაობდა, ისრაელის სპეცსამსახურები ცდილობენ, ისე შეუშალონ ხელი ოფიციალურ თერანს, რომ ირანში ვერ მიხვდნენ რა ხდება. მისი თქმით, საიდუმლო ომის მიზანია პროგრესის შენელება მანამდე, ვიდრე არ განიმუხტება კრიზისი ისლამური რესპუბლიკის მიერ ირანის გამდიდრების პროგრამის ირგვლივ.

შეერთებული შტატების კერძო კომპანიის წარმომადგენელ რევა ბალას თქმით, რომელიც დაზვერვის სფეროში მუშაობს, ისრაელის სპეცსამსახურები ბირთვული პროგრამის საკვანძო ფიგურების განადგურებასა და ბირთვული სანავის მიღებაში ირანისთვის ხელის შეშლაზე არიან კონცენტრირებულნი. ბალას განცხადებით, ამ ოპერაციაში შეერთებული შტატების

სპეცსამსახურებიც მონაწილეობენ.

არაოფიციალური ინფორმაციით, ისრაელის "მოსადის" მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ოპერაციის შედეგი მეცნიერ არდაშირ ხასანპურას განადგურება იყო. ხასანპურა ისფაჰანის ბირთვულ ობიექტზე მუშაობდა. იგი 2007 წელს საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა, ხოლო გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ბუენბრივი გაზით მონამვლა დასახელდა. გარდა ამისა, გამოცემის მტკიცებით, იყვნენ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ჩინოვნიკებიც, რომლებიც ასევე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ. "დეილი ტელეგრაფს" ერთ-ერთი ვეროპელი ექსპერტის სიტყვებით მოჰყავს, რომლის თანახმადაც ისრაელის სპეცსამსახურები წარსულში უსწორდებოდნენ მტრული სახელმწიფოების სწავლულებს.

გარდა ამისა, ოფიციალურმა თელ-ავივმა ფიქტიური კომპანიების შექმნაც გადაწყვიტა, რომლებმაც შეძლეს ქვეულიყენენ იმ ქსელის ნაწილად, რასაც ირანული რეჟიმი სანქციების თავიდან არიდების მიზნით იყენებენ. ასეთი ფორმები ირანს გამოუსადეგარ აღჭურვილობასა და ნედლეულს აწვდიან.

შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ყოფილ თანამშრომელ ვინს კანასტაროს ვარაუდით, საიდუმლო ომი შედეგად მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მოიტანს. მისი თქმით, საიდუმლო ოპერაციებით შეუძლებელია სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება.

"შეუძლებელია რამდენიმე ადამიანის მოკვლით ირანის ბირთვული პროგრამის ჩაშლის იმედი იქონიო," - ფიქრობს კანასტარო.

აშშ ავღანეთში დამატებით 17 ათას სამხედროს გაგზავნის

შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, იგი ავღანეთში დამატებით 17 ათას სამხედროს გაგზავნის. "ეს გადაწყვეტილება პენტაგონს უკვე გადაეცა. ბრძანებებს ხელი დღეს მოენერა," - განაცხადა თეთრი სახლის პრესსპიკერმა რობერტ გიბსმა. "ეს ნაბიჯი აუცილებელია, ავღანეთში გაუარესებული მდგომარეობის სტაბილიზებისთვის, რომელსაც დროულად არ მიეცა საჭირო სტრატეგიული ყურადღება, არ გამოიყო მიმართულებები და ქვეყნისთვის საჭირო რესურსები," - ნათქვამია აშშ-ს პრეზიდენტის წერილობით განცხადებაში. ავღანეთში უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში 8 ათასი საზღვაო და ქვეითი ქვედანაყოფების შემადგენლობაში მყოფი 9 ათასი სამხედრო მოსამსახურე გაიგზავნება. ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გაგრძელებამდე ცოტა ხნით ადრე ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ გამინტონი 18 თვის განმავლობაში ავღანეთში დისლოცირებულ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის 36 ათასიდან 60 ათასამდე გაზრდას აპირებს. ჯი-ეიჩ-ენი

სერგეი ლავროვი: რუსეთი ნატო-სგან კონკრეტულ წინადადებებს ელის

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის თქმით, რუსეთი ნატო-სგან შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების თანამშრომლობის, სტრატეგიული უსაფრთხოების, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემისა და ავღანეთის საკითხებში კონკრეტულ წინადადებებს ელის. "ნატო-ს ზოგი წევრისა და აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან მოვისმინეთ წინადადებები იმის შესახებ, რომ მათ თანამედროვე გამოწვევებისა და საფრთხეების წინააღმდეგ რუსეთთან ერთობლივი მექანიზმის შექმნა სურთ," - აცხადებს სერგეი ლავროვი. ჯი-ეიჩ-ენი

ისრაელის ავიაციამ ლაზას სამხრეთ ნაწილში განლაგებულ სამიზნეებზე იერიში მიიტანა

18 თებერვალს ღამით ისრაელის სამხედრო-საავიაციო ძალებმა იერიში მიიტანეს ლაზას სამხრეთ ნაწილში განლაგებულ სამიზნეებზე, კერძოდ "ფილადელფის დერეფანში" მდებარე შვიდ გვირაბზე, საიდანაც ლაზაში იარაღი და საბრძოლო მასალები შედიოდა. ასევე დაიბომბა "ჰამასის" პოლიციის გამაგრებული პუნქტი. როგორც "ცაჰალის" პრესსამსახურში აცხადებენ, საავიაციო დარტყმები პალესტინური დაჯგუფების მიერ 17 თებერვალს ისრაელის ტერიტორიის დაცხრილვის საპასუხოდ განხორციელდა. პალესტინური წყაროები იუწყებიან, რომ ისრაელის ავიადარტყმების შედეგად არაერთი დაზარალებულია. გამაგრებული პუნქტი კი სრულიად განადგურებულია. ჯი-ეიჩ-ენი

ტყვე ებრაელ ჭარისკაცში პალესტინელი რადიკალები ოთხი ტერორისტის გაცვლას ითხოვენ

პალესტინური დაჯგუფებები, რომელთაც "ცაჰალის" ჯარისკაცი გილად შალითი ორ წელიწადზე მეტია, დატყვევებული ჰყავთ, მისი თავისუფლების სანაცვლოდ ისრაელს ახალ პირობებს უყენებენ. გაზეთი "ალ-ჰაიატი" პალესტინურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ დაჯგუფება "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის" წევრებმა გილად შალითის თავისუფლების სანაცვლოდ, 4 ტერორისტის გათავისუფლება მოითხოვეს, რომლებმაც 2002 წელს ისრაელის მინისტრი რეზაჰა ზეევი მოკლეს. "ჰამასის" ერთ-ერთი წარმომადგენელი ახმად სადათი უკვე დიდი ხანია იმ ტერორისტთა სიაშია, რომლებიც ისრაელმა შალითის სანაცვლოდ უნდა გაათავისუფლოს. "ჰამასის" ინფორმაციით, პრაქტიკულად, არანაირი ეჭვი არ არსებობს, რომ "ფათჰის" ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერ მარუან ბარგუთს ისრაელი შალითის სანაცვლოდ გაათავისუფლებს. ისრაელმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის ბარგუთის გასათავისუფლებლად, რომელსაც ებრაელების განადგურებისათვის სამუდამო პატიმრობა რამდენჯერმე აქვს მისჯილი. ჯი-ეიჩ-ენი

კოსოვოს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავი

კოსოვოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის აქტის ცალმხრივად მიღების შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ თარიღის გამო მხარეში საზეიმო ღონისძიებებია დაგეგმილი, რომელშიც მთავრობა და პრეზიდენტი მიიღებენ მონაწილეობას. ამავდროულად, კოსოვოს ჩრდილოეთით ძირითადად სერბული მოსახლეობით და-

სახლებულ ქალაქ ზვეჩანში კოსოვოს სერბული მუნიციპალიტეტების კრების ჩატარება იგეგმება, სადაც სერბი პარლამენტარები დეკლარაციის მიღებას აპირებენ. დოკუმენტში აღინიშნება, რომ კოსოვოს პარლამენტმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია ცალმხრივად მიიღო. კოსოვოს პროვინცია სერბეთის შემადგენლობა-

ში ავტონომიური უფლებებით იმყოფებოდა და მისი მოსახლეობის 90 პროცენტს ალბანელები შეადგენდნენ, დანარჩენს კი - სერბები და სხვა ერების წარმომადგენლები. შარშან კოსოვომ სახელმწიფო სიმბოლოცა და კონსტიტუცია დაამტკიცა, რომელიც გაერო-ს ყოფილ წარმომადგენელ მარტი აპტი-საარის წინადადებების საფუძ-

ველზე შეიქმნა. კოსოვოს შს სამინისტრომ ეროვნული პასპორტების გაცემა უკვე დაიწყო. მიმდინარე წლის 21 იანვრიდან ფუნქციონირებას შეუდგა ეროვნულმა არმიამ, რომელიც 2.5 ათას სამხედროს ითვლის. კოსოვოს დამოუკიდებლობას ოფიციალურად 54 სახელმწიფო აღიარებს.

ჯი-ეიჩ-ენი

შვილები ხათუნა, დათო ჭარხალაშვილები, შვილიშვილები სოფო, ელენე, სიძე თამაზ ჭყონია, ძმისშვილები თამრიკო, მაია ჭარხალაშვილები იუნყებიან

ზურაბ ჭარხალაშვილის

გარდაცვალება.

პანაშვიდი: 19, 20 თებერვალს, 17 სთ-ზე; დაკრძალვა: 21 თებერვალს, 14 სთ-ზე; მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №62, IV სა-დარბაზო.

ავღანეთის პოლიცია ნარკოტიკების მოხმარებელი

ავღანეთის პროვინცია გილმენდის პოლიციელთა 60 პროცენტი, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ნარკოტიკების ბრძოლა, თავად არიან ნარკოტიკების მომხმარებელი, ნათქვამია ადგილზე მომუშავე ბრიტანელ ჩინოვნიკთა მიერ მომზადებულ ანგარიშში.

ანგარიშის ასლი, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა, "ბი-ბი-სი"-ს ელექტრონულ ფოსტაზე მოხვდა. დოკუმენტის ავტორის ვინაობა, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება.

წყაროს ცნობით, ნარკოტიკების ფართოდ გავრცელებული მოხმარება "წყალში ყრის ძალოვანი სტრუქტურებისა და სახელმწიფოებრივი წყობის რეფორმირების ყველა მცდელობას და პირდაპირ გამოდის კორუფციის ხელშემწყობ ფაქტორად." ავღანეთის სტაბილიზაციის ლონისძიებებში ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ადგილობრივი პოლიციური ძალების მომზადებაა.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე გილმენდის პროვინციაზე მსოფლიოში წარმოებული ოპიუმის ორი მესამედი მოდის, ხოლო ავღანეთზე, საერთო ჯამში, 90 პროცენტი. ამავდროულად, გილმენდი თალიბთა მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია. პროვინციაში დისლოცირებული ბრიტანული საჯარო შენაერთები ნარკოტიკების მოხმარებას და ისლამის ტრადიციებს ებრძვიან, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაფერში არ შეუძლიათ მოკავშირეებზე დაყრდნობა.

"ჩვენ უკიდურესად შეშფოთებული ვართ ავღანელ პოლიციელთა შორის ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით. ისინი მცირე ანაზღაურებას იღებენ, სახიფათო სამუშაოს ასრულებენ და არასაკმარისად არიან მომზადებულნი. მათ რიგებში მაღალია კორუფციისა და ნარკოტიკების ხარისხი და ეს ხდება იმ დროს, როცა ავღანეთში გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკის პრიორიტეტი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაა," - ნათქვამია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

გილმენდის გუბერნატორმა გულიაბ მანგალმა "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში აღიარა, რომ პოლიციელებში გავრცელებული ნარკოტიკების მოხმარება "უზარმაზარ პრობლემას" წარმოადგენს. მისი თქმით, ბოლო ხანს, სულ მცირე, 10 პოლიციელი გაათავისუფლეს სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ.

"უზარმაზარი პრობლემა" მხოლოდ ერთი პროვინციით არ შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული შემომთხვევა, რომელიც ამერიკული საწვრთნელი ცენტრის ლაბორატორიის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ქვეყნის მასშტაბით 5 230 ავღანელმა პოლიციელმა გაიარა. დადასტურდა, რომ მათგან 16 პროცენტი რეგულარულად მოიხმარდა ოპიუმსა თუ ოპიუმს.

განსაკუთრებით სერიოზული ვითარებაა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სადაც ნარკოტიკული მცენარეები იზრდება და ადვილად ხელმისაწვდომია. გილმენდის მოსაზრებები ყან-



განსაკუთრებით სერიოზული ვითარებაა ავღანეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც ნარკოტიკული მცენარეები იზრდება და ადვილად ხელმისაწვდომია.

დაარის პროვინციაში წესრიგის დამცველთა შორის ნარკოტიკების მოხმარება 38 პროცენტს შეადგენს.

ავღანეთის კვლევის ქაბულის ცენტრის დირექტორ აბდულა გაფურის აზრით, ზემოაღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ფსიქოლოგიური სტრესია, რომელსაც პოლიციელები განიცდიან, რადგან პირადად მათ და მათ ნათესავებს გამუდმებით ემუქრებიან თალიბები. თუმცა, ასეთი ახსნა პრობლემას ნამდვილად ვერ ამართლებს.

"პოლიციის ამოცანაა ნარკოტიკების მოხმარების დაკონტროლება. თუ საერთაშორისო დამცველები თავად გახდები-

ბიან მოხმარებლები, თვითონ მათ ვინაა გააკონტროლებს?!" - კითხულობს აბდულა გაფური.

თუმცა, ავღანურ ნარკოტიკების ბრძოლაში გარკვეული წარმატებებიც უკვე მიღწეულია. გილმენდში 6-11 თებერვალს განხორციელებული ოპერაციის დროს - კოდური სახელწოდებით "დიზელი" - ბრიტანელმა და ავღანელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, რომელთა რიცხოვნობა 700-ს აღწევდა, ოთხი ლაბორატორია გაანადგურეს, სადაც ჰეროინი ინარმოებოდა. აღნიშნულ ლაბორატორიებში სრულიადაა განადგურებული ალჭურვილობა და რეაგენტები და ამოღებულია ევროპულ "შავ

ბაზარზე" არსებული ფასებით 71 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჰეროინი და 1295 კგ ოპიუმის ნედლეული.

გარდა ამისა, განადგურებული სახელოსნო, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილობები მზადდებოდა, ამოღებულია სამი რეაქტიული ნაღმტყორცნი, დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და მოტოციკლები, რომელიც თვითმკვლელი ტერორისტისთვის იყო გადაკეთებული.

ოპერაციის ხელმძღვანელმა გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადის გენერალმა გორდონ მსევერმა თავისი დაქვემდებარებულიებისა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მოქმედებას "დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული კლინიკურად ზუსტი დარტყმა" უწოდა.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ ჰატონმა ასევე შეაქო ოპერაციის მონაწილეები.

"მსურს, ქება ვუძღვნა მოვალეობისადმი ერთგულ და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს. ამჟამად გილმენდის პროვინციაში მეტი წესრიგია," - განაცხადა ჯონ ჰატონმა.

მისი თქმით, ავღანეთში ამოღებული ნარკოტიკები უკვე აღარასდროს გამოჩნდება ბრიტანული ქალაქების ქუჩებში, ხოლო მათი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღარ დაიხარჯება თალიბების დაფინანსებაზე.

აბუ ქატადას სამოქალაქო დააბრუნებენ

მარიკა იახვილი

აბუ ქატადა სამოქალაქოში დაბრუნდება. ბრიტანეთიდან რადიკალი ისლამისტი მქადაგებლის დეპორტაციის გადაწყვეტილება ლორდათა პალატის ხუთმა წევრმა ერთსულოვნად მიიღო.

ქატადას აპელაცია, რომელიც მისი იორდანიაში დაბრუნების გადაწყვეტილების შეცვლას გულისხმობდა, ლორდათა მოსამართლეებმა უარყვეს. ტერორიზმში ეჭვმიტანილი ისლამისტი სამოქალაქო ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება.

ქატადა ცდილობს, დაამტკიცოს, რომ იორდანიაში ის წამების დროს მიცემული ჩვენებების საფუძველზე გაასამართლეს, თუმცა იორდანიელ ექსტრემისტის სამოქალაქო მინც დაუყოვნებლივ დააბრუნებენ.

48 წლის მუსლიმი მქადაგებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსტრემისტია. ამჟამად ის ბელმარშის მკაცრი რეჟიმის ციხეში იყოფება.

მოსამართლეთა გადაწყვეტილების საფუძველზე, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ჯეკი სმიტს დეპორტაციის პროცესის დაწყება უკვე შეუძლია. თუმცა ქატადა შუა ზიისკენ მიმავალ გზას მანამდე ვერ დაადგება, სანამ მის საქმეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ განიხილავს. ანალოგიური ვითარებაა კიდევ ორი ალჟირელი პატიმრის ექსტრადაციასთან დაკავშირებით, რომლებიც ქატადას მსგავსად, ტერორიზმში არიან ეჭვმიტანილნი.

იორდანულ-პალესტინური წარმოშობის მქადაგებელი სამოქალაქო უსამა ბინ ლადენის მარჯვენა ხელს უწოდებენ და ბრალს დედაქალაქის სასტუმროებში მომხდარი ტერაქტების

ბის ორგანიზებაში სდებენ.

იორდანიაში სასამართლო ქატადას მიერ შეთქმულების ორგანიზებას განიხილავს. ის ამანში მომხდარ აფეთქებათა სერიის დაფინანსებასა და კიდევ რამდენიმე შეთქმულების იდეოლოგიურ მხარდაჭერაშია ეჭვმიტანილი.

პირველად ევროპაში ის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დააკავეს, როგორც ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი. თუმცა მოგვიანებით ციხიდან თავდებით გაათავისუფლეს. იორდანიელის მეორედ დაპატიმრების მიზეზი მისი ქვეყნიდან გაქცევის მცდელობა გახდა.

ქატადამ მიმალვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც იგლისის პარლამენტში ახალი კანონ-პროექტი შევიდა. პროექტის მიხედვით, სამართალდამცველებს ტერორიზმში ეჭვმიტანილთა პატიმრობის ვადის გაგრძელება სასამართლოს დადგენილებისა და ბრალის წაყენების გარეშე შეუძლიათ.

ქატადას ექსტრადიციის საკითხი პირველად გასული წლის მაისში დადგა, თუმცა მაშინ ინგლისურმა სასამართლომ მის ექსტრადიციას უარი თქვა, რადგან იორდანიის სასამართლოს მიერ ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის სამართლიანობა საეჭვოდ მიიჩნია.

ქატადა ექსტრადიციას იმის მიუხედავად გადაურჩა, რომ ის უსამა ბინ ლადენის მთავარ თანამოაზრედ და ნომერ პირველი ტერორისტის ევროპული გეგმების მთავარ განმახორციელებლად მიიჩნევა. გარდა ამისა, ქატადას რადიკალი ისლამისტების მთავარ იდეოლოგადაც მიიჩნევენ.

ქატადასთან ერთად დეპორტაციის საქმე ორმა ალჟირელმაც წააგო, მიუხედავად იმისა, რომ, მათი განცხადებით, სამოქალაქო დაბრუნების



აბუ ქატადა

შემთხვევაში სასტიკი წამება არ ასცდებათ. ალჟირელები ბრიტანეთის ციხეში იმის გამო მოხვდნენ, რომ გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრის მტკიცებით, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის იყვნენ საშიში. ბრიტანეთის შსს მინისტრი ჯეკი სმიტი კი აცხადებს, რომ ეროვნული უსაფრთხოება მათთვის პრიორიტეტულია.

"ჩვენ მივესალმებით ლორდათა პალატის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენთან არის შეთანხმებული და რომელიც საშუალებას გაძლევს, აბუ ქატადას მსგავს საშიშ ადამიანებს დიდი ბრიტანეთი დავატოვებინოთ," - აცხადებს სმიტი.

პატიმართა წამება ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის სერიო-

ზული პრობლემაა, მაგრამ ინგლისში თავს იმით იმშვიდებენ, რომ დიდმა ბრიტანეთმა შუა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან საგანგებო შეთანხმებას მოახერხა ხელი, რომელიც ინგლისიდან დეპორტირებული ადამიანებისადმი სამართლიან მოპყრობას ითვალისწინებს.

შეთანხმებას, რა თქმა უნდა, ოპონენტებიც ჰყავს. კრიტიკოსებმა ის იურიდიულად უსარგებლოდ გამოაცხადეს. ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "წამების აკრძალვის შესახებ შეთანხმება იმ ქვეყნასთან, სადაც ადამიანის წამება ჩვეულებრივი ამბავია, უბრალოდ, უსარგებლო და არაფრის მაქნისია."

ლორდ ფილიპსის განცხადებით, რომელიც დეპორტაციის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა, მოსამართლეებს მთავრი თავსატეხი იმაზე ფიქრმა გაუჩინა, მოეპყრობიან თუ არა ქატადას სამოქალაქო სამართლიანად, მაშინ როდესაც მისი საწინააღმდეგო ჩვენებები იორდანიის პოლიციამ წამების გამოყენებით მოიპოვა.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის "ემნესტი ინტერნეი-შენალის" განცხადებით, ისინი შეშფოთებული არიან დიდი ბრიტანეთის მხრიდან ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებით, რადგან არც ერთი ადამიანი, რაშიც არ უნდა იყოს იგი ეჭვმიტანილი, წამების რისკის წინაშე არ უნდა აღმოჩნდეს. მათ აზრით, ვერაინ გადაწყვეტს, რომელი ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული და რომლის არა. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ თუკი ეჭვმიტანილებმა მართლაც ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც ბრალად ედებათ, ბრიტანეთის სასამართლომ ისინი თავად უნდა გაასამართლოს.

რევოლუ



ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში მეორე დღეა ვნებების ცეცხლი ტრიალებს - ქალაქის ყველზე დიდი საცეკვაო მოედანი ტანგოს ფესტივალს ეთმობა. ფესტივალში ლათინური ამერიკისა და ევროპის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი წყვილი რამდენიმე საათის განმავლობაში მუსიკის ფონზე ირხევიან. მონტევიდეოს ტანგოს ფესტივალში ყოველწლიურად ტარდება და მას კონკურენტის მხოლოდ ბუენოს აირესის ფესტივალი უწევს.

AFP - 2009

წლის აუქციონი

მაიკლ ჯექსონს ორი ათასამდე ნივთი აუქციონზე გამოაქვს

ოდესღაც პოპ მუსიკის მეფედ აღიარებულ, ახლა კი ლამის ყველასგან მიტოვებულ მაიკლ ჯექსონს ისე გაუჭირდა, რომ უკვე პირადი ნივთების გაყიდვაც დაიწყო. მაგრამ ამას ცხადია ბაზრობაზე კი არ აპირებს, არამედ გაცილებით პრესტიჟულ ადგილას - ბევრელი პილზის ყველაზე ცნობილ სასტუმროში. ჯექსონს აუქციონზე ორი ათასამდე პირადი ნივთი გამოაქვს და ვარაუდობს, რომ საკმაოდ დიდ მოგებას ნახავს.

გასაყიდი ნივთების ნუსხაში შეხვდებით არა მხოლოდ მომღერლის სასცენო კოსტუმებს, სათამაშოებს, ვინილის ალბომების კოლექციას და მუსიკალურ ჯილდოებს, არამედ ხელოვნების ნიმუშებსა და უძვირფასეს ავტომანქანებს. აუქციონი კი Auction Network-ის სატელევიზიო არხით პირდაპირ ეთერში გადაიციება და ერთგვარი შოუს სახესაც მიიღებს.

ეს პირველი აუქციონია, რომლის ჩატარების უფლებაც ჯექსონმა პირადად გასცა. აუქციონს კი 22-დან 25 აპრილის ჩათვლით ცნობილი კომპანია "ჯულიენისი" ჩატარებს. სწორედ ამ კომპანიის ინიციატივით მთელი პროცესის პირდაპირი ეთერით გადაცემა, რაც "ჯულიენისის" რეკლამის ფუნქციას უფრო ატარებს, ვიდრე თავად ჯექსონის

ინტერესებს ითვალისწინებს.

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ლოტი, რომელსაც "ამერიქან მიუზიკ ავარდზე" მიღებული ჯილდო წარმოადგენს. ეს ჯილდო ჯექსონმა ალბომ "ტრილერისთვის" მიიღო, ამრიგად მისთვის ძალიან ძვირფასია. გასაყიდ ნივთებს შორისაა ხელოვნური ბრილიანტით მოჭედილი წინდები, რომლებიც ჯექსონს 1981 წელს ერთ-ერთი კლიპის გადაღებისას ეცვა. ასევე გაიყიდება ცნობილი ბრილიანტის ხელთათმანი, მაიკლ ჯორდანის ავტოგრაფიანი კალათბურთის ბურთი და მომღერლის იმ დროინდელი პორტრეტი, როდესაც ის შავკანიანი იყო. აუქციონზე გამოიტანენ მაიკლ ჯექსონისთვის ექსკლუზიურად შექმნილი "როლს როისის" მოდელსაც, რომლის საწყისი ფასიც ვერჯერობით გასაიდუმლოებულია.

ვიდრე აუქციონი გაიმართება, ლონდონსა და დუბლინში ამ ნივთების გამოფენა დაგეგმილი, რათა პოტენციური მყიდველი მათ უფრო ახლოს გაეცნოს. გამოფენაზე დასწრებას პოპ მუსიკოსიც გეგმავს. მისი განცხადებით, აუქციონიდან შემოსულ თანხას საქველმოქმედო ორგანიზაცია MusiCares-ს გადასცემს. ეს ორგანიზაცია გაჭირვებულ მუსიკოსებს ეხმარება. დანარჩენ თანხას კი ბანკროტობის ზღვარზე



მყოფი მუსიკოსი საკუთარ თავს მოახმარს.

მაიკლ ჯექსონს ფინანსური პრობლემები უკანასკნელ წლებში შეექმნა, როდესაც პედოფილიაში ბრალდებულ მომღერალს არა ერთი სასამართლო პროცესის გადატანა მოუხდა. ძალიან ბევრი ფული ადვოკატებში დაეხარჯა, გარდა ამისა, სასამართლოს გამო ვერ ახერხებდა სასიძლეო კარიერის გაგრძელებაც, რითაც შემოსავლის წყარო მოისპო.

პედოფილიაში დადანაშაულების შემდეგ, მის წინააღმდეგ სარჩელი ბაზრეინის უფლისწულმაც შეიტანა. მათ შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე ჯექსონს ჰამად ალ შალიფასთვის რამდენიმე სიმღერა უნდა დაეწერა და მათ ჩანერაშიც დახმარებოდა. გასამართლებად კი უფლიწულმა ავანსის სახით 7 მილიონი დოლარი გადასცა. გარდა ამისა, ჯექსონს არც ავტობიოგრაფია დაუწერია, რისთვისაც ჰონორარის სახით 2 მილიონი დოლარიც მიღებული ჰქონდა. ერთი სიტყვით ყოფილი მეფისა და ამჟამინდელი უფლისწულის დაპირისპირებამ ჯექსონის ჯიბე კიდევ უფრო შეათხელა, სიტუაციიდან გამოსავალი კი მხოლოდ აუქციონის ჩატარებასა და ძვირფას ნივრებთან გამოთხოვებაში დაინახა.

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



თუმი მისხვარა

გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი, ჩემი ბავშვობის მეგობარია, რომელიც სწორედ იმის გამო მიყვარს გამორჩეულად რომ ძალიან ბევრი ადამიანისაგან განსხვავებით, მან დღემდე შეინარჩუნა სამყაროს ალქმის ბავშვური ნიჭი და უამრავი რამ ახლაც ისევე უკვირს, როგორც პატარაობისას უკვირდა. ბავშვობაში ალბათ ჩვენც ასეთი გულწრფელები ვიყავით და მერე კი ნელ-ნელა დავკარგეთ ბევრი თვისება და მათ შორის კი ბევრი ისეთიც, რომელიც უცნობმა დღემდე შეინარჩუნა. იმ საკანშიც, სტუმრებთან საუბრისას თუ კამათისას, უცნობის ეს შესაშური თვისება, აშკარად ჩანს ხოლმე, მაგრამ სანამ საკნის ამბავს მოვყვები, ახალგაზრდობაც უნდა გავიხსენო.

ახალგაზრდობაშიც ბევრი იდეები ჰქონდა (ახლანდელივით) და როცა მეუბნებოდა თუ რის ვაკეთებდასაც აპირებდა, ძალიან ხშირად მეღიშებოდა ხოლმე და ძალიან ხშირად ვცდებოდი, რადგან მას ყოველთვის ჰქონდა ნიჭთან ერთად ისეთი ადლოც, რომლის წყალობითაც ჰიტების ავტორი ხდებოდა. ჰიტის ოფიციალურ განმარტებას რომ ხრ დაეყაბულდეთ, ჰიტის სწორედ იმას ნიშნავს, რასაც უცნობი აკეთებდა თავისი პირველი სიმღერის ჩანერვიდან დღემდე და სანამ მეხუთე საკანში აღმოჩნდებოდა, მხოლოდ მან იცოდა როგორი პოპულარული გახდებოდა ეს უცნაური ახირება. აქვე შემოიღია გამოვლენა და ისიც ვალიარო რომ რამდენიმე ხნით ადრე (სანამ მათსტროში დასჯდებოდა), როცა გიამ თვითონვე ამიხსნა რის გაგვეკეთებდასაც აპირებდა, ისევე ცოტა გომურად მომეჩვენა მისი ახალი იდეა, თუმცა ისევე შევცდი.

მესმის რომ პირდაპირ, რეალურ და ცოცხალ შოუს შეიძლება მართლა არ ჰქონდეს ალტერნატივა ტელევიზორის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ის, რასაც უკვე მერამდენე ადამიანისაგან ვისმენ - ადამიანები არამხოლოდ მაშინ უყურებენ ამ გადაცემას როცა საკანში საინტერესო სტუმრები არიან და კამათობენ, არამედ მაშინაც კი როცა გია საკანში მარტოა და მშობივად ძინავს.

თუმცა სინამდვილეში მშვიდად ძილი იმ საკანში შეუძლებელია თუნდაც მუდმივად ჩართული კამერების გამო და პირადად ჩემთვის კი არათუ მშვიდად ძილი, მშვიდად საუბარიც კი შეუძლებელი აღმოჩნდა მასთან სტუმრობის დროს და ამიტომაც ბევრი რამ, რისი თქმაც მიხდოდა, უბრალოდ დამაინწყდა. ეტყობა დანყნარევის მიზნით (საკანში კამათის მერე), საყვარელი წიგნები და ფილმებიც კი ჩამოვწერეთ და განსაკუთრებით იმაზე მწყდება გული რომ "თუმი მეცხვარე" დამაინწყდა. არადა სოსო ჩხაიძის "თუმი მეცხვარე" ისე მიყვარს რომ არამხოლოდ ნახვისას, ამ ფილმის გახსენების დროსაც კი მეტირება ხოლმე.

როგორც აი ახლა...

P.S. რაც შეეხება გრიბოედოს (რომელმაც ამდენი კამათი გამოიწვია), აქ მართლა ვერ დაეტყვა მისი ცოდვები და ამიტომაც დაინტერესებულმა ადამიანებმა "ცხელ შოკოლადში" უნდა წაიკითხონ "საკანი ნომერი ხუთი".

თვალსაზრისი

მოსაზრებები თანამედროვე ქართული დრამატურგიის ტენდენციებზე

ნერილი II

ლაშა ჩხარტიშვილი
თეატრმცოდნე

კონკურსის შესახებ

კონკურსს დრამატურგიაში მიხეილ თუმანიშვილის ფონდი 2006 წლიდან მართავს. პერიოდულად ცხადდება კონკურსი პიესის თარგმანებზეც. "ახალ ქართულ პიესაზე" წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ახალი, არ უნდა იყოს გამოცემული და შესაბამისად, დადგმულიც. ყველა კონკურსი დახურულია, ანუ კონკურსის წევრებმა არ იციან ჟიურის წევრების ვინაობა, არც ჟიურის იცის ვის ნაწარმოებს კითხულობს ის. ჟიურის შემადგენლობა მუდმივად იცვლება. რაკი ჟიურიზე ჩამოვარდა სიტყვა უნდა ითქვას, რომ მათ უმოკლეს დროში შეძლებს ორმოცამდე ახალი ქართული პიესის ნაკითხვა და ერთგვარი დამუშავება. ჟიურის წევრები იყვნენ როგორც რეჟისორები, ისე თეატრმცოდნეები, თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევითი პირი (პროფესიით რეჟისორი ან თეატრმცოდნე, რომლებსაც არც სპექტაკლი დაუდგამთ და არც რეცენზია დაუწერიათ ოდესმე). თუმცა მათ აზრს რაიმე გავლენა ჟიურის სხვა წევრებზე ან კონკურსის შედეგებზე არ მოუხდენია. კონკურსში მონაწილეობა აქვს მიღებული თითქმის ყველა ქართველ დრამატურგს, რომელთა სახელები ერთგვარ ავტორიტეტებს მატებენ კონკურსს. უნდა გამოვსვინდეთ და, უკვე აღიარებულ, პროფესიონალ დრამატურგებს ფინანსური ინტერესების გარდა (პირველ ადგილზე გასულს 3000-5000 ლარი გადაეცემა) კონკურსის ლაურეატობაც ეამაყებათ. თუმცა, წლებიდან დღემდე კონკურსის ერთ-ერთი ნომინირებული პიესის ავტორს სისხარულის მაგიერ, მეტიჩრობა უფრო ეტყობოდა.

2008 წლის "ახალი ქართული პიესა"

უამრავი სისუსტეების და პრობლემების მიუხედავად, კონკურსმა აჩვენა, რომ არც მთლად საგანგაშოდ არის საქმე. ყოველწლიურად იწვევება 40-მდე ახალი ქართული პიესა, მნიშვნელოვანია ციფრი (თუმცა, სასურველია იგი კიდევ გაიზარდოს) და ისიც, რომ ამდენ ადამიანს უწინდება სურვილი დაწეროს სათეატრო ტექსტი. ფუჭი მცდელობა იქნება ყოველწლიურად ახალი კლდისპილის ან კაკაბაძის მოლოდინი, მთავარია პროცესი მიიღოს. წარმოდგენილი პიესებს შორის რამდენიმე ჟიურის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა, თუმცა პირველი პრიზის გაცემისთვის ძაბვის სიკვდილად" მიმართა დღემდე. ჟიურის ამ გადაწყვეტილებას არასერიოზულობის ელფერი დაკრავს, რაც კონკურსის ჩანაფიქრს - ეროვნული დრამატურგიის ნახალობას ეწინააღმდეგება. კონკურსზე წარმოდგენილ პიესებს შორის უდავოდ მოიძებნებოდა პირველი საპრიზო ადგილის ღირსი პიესა.

ახლა უშუალოდ ავტორებზე და ზოგად ტენდენციებზე: ჩემი აზრით, პიესების ნაწილი, დაახლოებით 15-20 % განხილვიდან უნდა მოიხსნას, მხოლოდ იმ მოტივით, რომ არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს პიესის, როგორც ასეთი ჟანრის ძირითად

მოთხოვნებსაც კი, ისინი დაწერილია ლიტერატურული სცენარის ფორმით. ჟიური ახალი ქართული პიესების კითხვისას ნაწყდა ორ უკიდურესობას: პიესების სიუჟეტი ან ზედმეტად ბანალური, ფრაგმენტული და ცალმხრივი იყო, ან პირიქით იმდენად გართულებული ხელოვნურად, რომ არა თუ მკითხველი, არამედ ავტორებიც ჩაიკარგნენ საკუთარ ნააზრევში.

ორი გამარჯვებული

ოფიციალურად "ახალი ქართული პიესის" სტატუსი (II პრემია, I პრემია არ გაიცა) ლალი კეკელიძის მორიგმა აბსურდმა ძმკვდარი საათი" მიიღო. ქართველებს იშვიათად გამოგვდის პიესები, მით უმეტეს, აბსურდის ჟანრში, რომელიც დღემდე რჩება "უცხო ხილად" ფართო საზოგადოებისთვის. მე თუ მკითხავთ, ამავე ჟანრში გაცილებით ღრმა, საინტერესო და პროფესიული იყო ბასა ჯანიკაშვილის "დოქტორა", ახალგაზრდა დრამატურგს სერიოზულად უფიქრია პერსონაჟთა ხასიათებზე, გარემოზე, სადაც ხდება მოქმედება და კონსტრუქციის თვალსაზრისით, კარგად აწყობილი პიესაა, ავტორი არ უჩივის ფანტაზიის ნაკლებობას და პრობლემაც მასშტაბურია. III პრემია გადაეცა დათა თავაძეს პიესისთვის "ყვავები" და ლიკა მოლარეშვილი პიესისთვის "ეთერი".

დათა თავაძისთვის "ყვავები" დებიუტს დრამატურგიაში ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგან თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი (გიზო ჟორდანიას სახელოსნო) და მარჯანიშვილის თეატრის რამდენიმე სპექტაკლის მონაწილე, თავის თარგმანებს და პიესებს უკვე რამდენიმე წელია ათავსებს კერძო ლიტერატურულ საიტებზე. ალბათ, ამიტომაც გაჩნდა ეჭვი ჟიურის წევრებს შორის, დათა თავაძის მიერ წარმოდგენილი პიესის "ყვავების" მიმართ მისი ნათარგმნობის შესახებ. პირადად ჩემთვის "ყვავებს" განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. საექსპოზიციო ნაწილი განვლილი და ბუნდოვანი მომჩვენა. რაც შეეხება ლიკა მორალიშვილის პიესას "ეთერი" იგი ზედმინევილი ლიტერატურულია, დახვეწილი მანერით არის დაწერილი, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ავტორი არ იცნობს თეატრს. როგორც გაირკვა, ლიკა მორალიშვილი თამაზ ჭილაძის აღზრდილია, მან სწორედ ის ფაკულტეტი დაამთავრა თეატრალურ ინსტიტუტში, რომელსაც თამაზ ჭილაძე ხელმძღვანელობდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით ნამახალისებელი პრემია მიიღო ორმა ავტორმა (რაც კონკურსის ორგანიზატორების მიზიდან პოზიტიურ ნაბიჯად მიმაჩნია): დათო გაბუნიაშვილი პიესისთვის "სხვისი შვილები" და თამარ ბართაიამ პიესისთვის "მთავარი როლი".

ჩემი აზრით, დათო გაბუნიაშვილის "სხვისი შვილები" ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ქართულ დრამატურგიაში ახალი ფორმების და ახალი ტენდენციების დამკვიდრებისთვის. (ის, რაც ახალია ჩვენთვის, უკვე კარგად დაფიქსირებულია ევროპისთვის). ახალგაზრდა, გამოუცდელი ავტორი ზომიერი ირონიისა და გემოვნებანი ოუმო-

რის წყალობით ხატავს ერთი შეხედვით პრიმიტიულ, მარტივ სიუჟეტს, რომელიც საბოლოო ჯამში გლობალურ პრობლემებს ეხმიანება ქართული ხასიათებით. პიესის სიუჟეტი გამართულია, გმირთა ხასიათები გამოკვეთილი, იდეურად საინტერესო და აქტუალური პიესაა. პიესა არ ეხება მხოლოდ სქესთა ომს, არამედ ავტორი სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, ცდილობს წარმოაჩინოს მეამბოხეთა წვლილი კაცობრიობის ისტორიაში და ყოველგვარ პროგრესში. სახალისო, მაგრამ ნაკლებად საინტერესო სიუჟეტი შემოგვთავაზა თამარ ბართაიამ პიესაში "მთავარი როლი". მასში მოთხრობილია თეატრის ნაწყვენი მსახიობი ქალის ისტორია და მისი ურთიერთობა თეატრთან. სიუჟეტი - ბანალურია, პერსონაჟები - ნაცნობი, ფორმა - მრავალგზის აპრობირებული სცენაზე, მოქმედება - დინამიური. პიესის ლირება სიუჟეტის სივრცე და სისადაგვა, თუმცა მსგავსი ისტორია გათამაშებული არა ერთხელ მინახავს სხვადასხვა თეატრების სცენებზე.

რა აღეღვებს თანამედროვე ქართულ დრამატურგიას?

ჩვენი დროის დრამატურგებს აღეღვებს ყველაფერი ის, რაც მანამდე აღეღვებდათ მის წინამორბედებს. ქართველი რისი ქართულია, ჯერ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს არ გამოუხმაუროს და შემდეგ შინაურ პრობლემებს მიხედოს. შინაური პრობლემები კი უამრავი გვაქვს: რუსეთის აგრესიის მხატვრული ასახვა თამროკ ბართაიამ უკვე ფურცელზეც გაართავს სახელწოდებით "სარდაფი გორში". პიესა უდავოდ შეიცავს ემოციურ მუსხტს, გარდა იმისა, რომ აქტუალურია და სიუჟეტი მძაფრია და დინამიური, თუმცა თითქმის არ გვხვდება კონფლიქტი პერსონაჟებს და სიტუაციებს შორის, ხშირია პუბლიცისტიკური ნაკადი, რაც აკნინებს პიესის ხარისხს. საერთოდ, პუბლიცისტურობა (ცუდი გაგებით) და ზედმინევილი კონკრეტულობა მორიგი გასაჭირთა თანამედროვე ქართული დრამატურგიის. ავტორთა უმრავლესობა ვერ ახერხებს სიუჟეტის განზოგადებას და კონკრეტული გარემოდან გამოსვლას. ამიტომაც არა ერთხელ შეხვედებით პიესებში რეალურ პერსონაჟებს: მაგალითად, პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ("სარდაფი გორში"), ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს ("ვირო, მანვენე პასპორტი") და სხვებს. 33 ახალი ქართული პიესიდან პატრიოტული თემაზე კიდევ ორი პიესა მიაა ჯიქიას "აპრილის განთიადი", რომელიც 9 აპრილის ტრადიციას ეძღვნება, თუმცა პიესა ფრაგმენტულია და 9 აპრილის თემაზე დასაწერი პიესის ერთგვარ ესკიზს, მონახაზს წარმოადგენს. ენრიკო კვიზინადის ძპაიკები, ანუ გული ჰქონია" მართალია თემატიკის თვალსაზრისით აქტუალურია, მაგრამ მას აკლია სიღრმე, ხასიათთა მეტი გამოკვეთა, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა არა ომის ჩვენება, არამედ მისი გამოწვევი მიზეზების, ან მიღებული შედეგების გაანალიზება.

კონკურსზე წარმოდგენილ პიესათა შორის გვხვდება გაუთხოვე-

რობაზე, სექსზე, სქესთა დაბალანსებასა და როლების გადანაწილებაზე, ახალგაზრდების ვითომდა გადაგვარებაზე, ქალწულობის ინსტიტუტის, საყვარლების თემაზე შექმნილი პიესები. გამოვსვინდებით და პიესათა უმრავლესობა სწორედ ამ თემებს ეძღვნება. გარდა ამისა, მათი სიუჟეტები პრიმიტიულია, ბანალური და ყოფითი. პიესები "საუნა საშობაოდ" (მარინა ივანიშვილი), ძრა დროს ვარსკვლავებია" (მარინა ივანიშვილი), "სანამ ყავას დავლევდეთ" (ეკა ლალანიძე), "რატომ დავრჩი გაუთხოვარი" (გიორგი კობრეიძე), "სუპერ ქართველები" (თამაზ მეტრეველი), "დაიკიდე, მოგეშვება" (გურამ მეგრელიშვილი), ძთავისი ცოლის საყვარელი" (ნოდარ მამაცაშვილი), "მზადება კორნისისთვის" (ლალი კეკელიძე), "ქალწული" (ირმა მალაქიძე), "თამაში შეპყრობილი" (ნონა კუპრეიშვილი) თემატიკით, სიუჟეტით და მხატვრული დონით ჰგვანან ერთმანეთს. მათი ავტორები მხოლოდ ასაკით განსხვავდებიან.

თანამედროვე ქართული დრამატურგით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიბრძანდეს კინომსახიობთა თეატრში, სადაც განთავსებულია თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი და დაწვრილებით გაეცნოს არა მხოლოდ აქ ნახსენებ პიესებს, არამედ უცხოური დრამატურგიის ქართულ თარგმანებსაც. ვისურვებდი, რომ ასეთი მსურველების რიცხვი იყოს დიდი, ხოლო პროცესი შეუქცევადი.

პერსპექტივაში

უკვე ტრადიციად იქცა თუმანიშვილის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში გამარჯვებული, თუ წარმოდგენილი პიესების ძკითხვები" რუსთაველის თეატრის მცირე თუ ექსპერიმენტულ სცენებზე. წელს რუსთაველის თეატრის შეუერთდა კინომსახიობთა თეატრი. მსახიობ ნინო ბურდულის ინიციატივით, რომელიც ამავდროულად ჟიურის წევრიც იყო, კინომსახიობთა თეატრში მოღვაწე ყველა რეჟისორი მოამზადებს ერთ-ერთ პიესას, რომლებშიც მხოლოდ იმავე თეატრის მსახიობები იქნებიან დაკავებული. თუმანიშვილის ფონდის და კინომსახიობთა თეატრის ინიციატივას უკვე გამოუხმაურა რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე, რომელმაც გამოთქვა სურვილი და მზად ყოფნა ანალოგიური პროექტის რუსთავის თეატრში განხორციელებაზე.

"ახალი ქართული პიესის" კონკურსში მონაწილე პიესების ნაწილი უკვე იდგმება ქართული თეატრის სხვადასხვა სცენებზე. დათო გაბუნიაშვილის "სხვისი შვილები", თინა ახალაიას რეჟისურით, სამეფო უზნის თეატრში განხორციელდება და მისი პრემიერა მარტის თვეშია დაგეგმილი. უკვე დაიწყო რეპეტიციები მსახიობთა რამაზ იოსელიანმა ბათუმის მონარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში, სადაც ლაშა ბუღაძის "ნაფტალინს" განახორციელებს, ასევე ზულოს სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი როინ სურმანიძე თამრი ფხაკაძის "გაფრენას" დგამს.

ნაცნობი პორტრეტები უსნობ წერილებში

TBC ბანკში სასიყვარულო ბარათები გამოფინეს

თამარ კიხნავალიძე

ამ წერილების წაკითხვისას, აღმოაჩინეთ, რამდენად შევიცვალეთ ჩვენ - ადამიანები, როგორ დავცარიელდით და დავკარგეთ გატაცებისა თუ ალტაცების უნარი! ამ სასიყვარულო ბარათებში დაწერილი სიტყვების გაგონებაზე, თანამედროვე ადამიანს, იქნებ, გაეცინოს კიდევ... მაგრამ წარმოუდგენელია არ დაგაინტერესოს და არ გაგიტაცოს წერილებმა, რომელთა ავტორები და ადრესატები, მათი შემოქმედებით მოღვაწეობიდან გამომდინარე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი პიროვნებები არიან. სულ რამდენიმე ბარათს კი, დამთვალეიერებელი უცნობი ქალისა და უცნობი მიჯნურის სახელით გაიცნობს.

სასიყვარულო ბარათების ექსპონირების იდეა TBC ბანკის წარმომადგენლებს ეკუთვნის. როგორც შევიტყვეთ, მათ მსგავსი გამოფინის ორგანიზება თელავში უნდოდათ. საბოლოოდ კი, მათი ინიციატივა TBC ბანკის საგამოფინო დარბაზში განხორციელდა, რომელშიც განსაკუთრებული წვლილი ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა შეიტანა.

უფრო კონკრეტულად კი, დღეიდან 26 თებერვლის ჩათვლით, აღნიშნული საგამოფინო დარბაზი უმასპინძლებს გამოფინას, რომელშიც ექსპონირებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული საბუთების საცავიდან პირველად "გამომხეურებელი" სასიყვარულო ბარათები. მათი უმრავლესობა ცნობილი ადამიანებს ეკუთვნის. აქ აღმოაჩინეთ: იური მარის სოფიო მარისადმი, გრიგოლ წერეთლის სოფიო წერეთლისადმი, ილია ჭავჭავაძის ოლადა გურამიშვილისადმი, სერგო გიორგაძის თამარ ევაძისადმი, დი-

მიტრი ხოშტარის (დუტუ მეგრელის) ანასტასია ერისთავ-ხოშტარისადმი, ივანე ჯავახიშვილის ანასტასია ჯავახიშვილისადმი, დიმიტრი შვედრიანისადმი, დიმიტრი შვედრიანისადმი და კიდევ, სხვათაგან მინერალ წერილებს.

ილია ჭავჭავაძის მეუღლისადმი მიწერილი სასიყვარულო ბარათები ასე იწყება: "ჩემო კარგო ოლიკო!", "ჩემო კარგო ოლიკოჯანი!", "ჩემო სანატრელი და საყვარელი ოლიკო!"... ივანე ჯავახიშვილი კი ანასტასია ჯავახიშვილისადმი წერს:

"პეტერგურგით
1909. 22 ენკენისთვე

ჩემო მშვენიერო, ჩემო კეთილო, ჩემო ლამაზო ანგელოზო, სტახიჯანი! დღეს მესამე წერილი მივიღე შენგან. ჩემო იმედო, დავიკოცნი ხელგებს, რომ შენი წერილებით დამამშვიდე და ნათელასი და შენი ამბები შემატყობინე. ჩემო გვირგო, იმედი მაქვს, რომ შემდეგაც გაანებიერებ შენს ვანოს და ყოველთვის როცა დრო გექნება თქვენი ამბით გამახარებ.

სულ თქვენს საგონებელში ვარ, სულ ტყვენივე ვფიქრობ და ვოცნებობ იმ ნეტარ დღეზე, როცა თქვენ ჩემო სიცხარულო, აქ ჩემთან მეყოლებით. სტახიჯანი, ჩემი წერილი პეტერბურგიდან გამოგზავნილი მიღებული გექმნება.

ჩემო მშვენიერო გამაგიჟებელი ჩიტუნიავე. მე ვეცადი ყველაფრით დაგეხმარო და შრომა შეგიმსუბუქო. ჩვენს პატარა ბარტყს ორივე ერთად მოვივლით, ხომ ჩემო კარგო? სტახიჯანი, ემც სულ იამზე ვფიქრობ როცა თქვენ აქ მეყოლებით და სამივე ერთმანეთს სასიყვარულო ჩავეხუტებით. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩვენი მერცხალი მე და შენ მოგვპყვებება!... სტახიჯანი გამაგიჟებელია, დამთრობელი შენი სიყვარული!...

დაგიკოცნი ლამაზ და იმ ხელგებს, რომელნიც თქვენის ამბით მახარებენ ხოლმე. მარად შენი გაგიჟებით მოტრფილ ვაწარმოებ ხელგებს, რომელნიც თქვენისადმი და კიდევ, სხვათაგან მინერალ წერილებს.

საექსპონირებელი ვიტრინებში, სასიყვარულო ბარათების გვერდით, ასევე, წარმოდგენილია (არანაკლებ საინტერესო) ავტორთა ფოტოები, უბის ნიგნაკები, საწერი მაგიდის მაგნიტური და პირადი ნივთები.

თუმცა, ამ გამოფინაზე ძირითადი აქცენტი სწორედ სასიყვარულო ბარათებზეა გაკეთებული. მათ შორის, დამთვალეიერებელი მეთვარამეტე საუკუნის ეპისტოლესაც აღმოაჩინეს, რომელიც უცნობ ქალს ეკუთვნის და რომელშიც წერია:

"შენის ჭირის სამაგიეროდ მე ვიტანჯო ჩემო სიცოცხლის მიზეზო, ჩემი გულის ბატონო და გონების ხელმწიფო... ჩემს სიყვარულით აჩემებულს საკუთარს უმანკოს შენს გულს 900000 გაკოცებ და ვინატი ჩემს სიცოცხლეში შენს ნახვას..."

ნადს, შენი სახელის ნიმივე, გებრადებოდეს მოუთმენელ ცეცხლით დამწვარი ჩემი დაჩაგრული გული. მიბრძანებ იცოცხლეო, ვისთვის - ვიცოცხლო, ვის ვხედავ, მაგრამ რათგან ღმერთმა უდროთ გამხრა, შენი თავი ამოცა საწუგემოთ... მაგრამ მე ამისთვის უნდა ვიცოცხლო თუ შენი ნახვის ღირსი არა ვარ თვით ნიგნი მაინც მებოძება".

ექსპონირების სანახავად მისულ დამთვალეიერებელს, მისი ორგანიზატორები ერთ განსაკუთრებულ სიურპრიზს სთავაზობენ, კერძოდ: მათ შესაძლებლობა მიეცემათ საყვარელ ადამიანებს წერილი დაუწერონ, ბარათებს კი ადრესატამდე "TBC ბან-

კის" წარმომადგენლები მიიტანენ. ასე, რომ დღეს თქვენთვის განსაკუთრებულ ადამიანებს სასიამოვნო სიურპრიზი შეგიძლიათ გაუკეთოთ.

დღეს, გამოფინის გახსნაზე, მსახიობი მურმან ჯინორია და პოეტი რატი ამალლობელი ერთ სასიყვარულო ბარათს წაიკითხავენ, რომელთა შორისაც, მეგობრობის ფრთებს ამოფარებული, ორი მხატვრის სევედიან ისტორიასაც ამოკითხავთ. ისინი პირველად ერთმანეთს 1919 წელს შეხვდნენ. მათი რომანტიკული ურთიერთობა და მიმოწერა კი, თხუთმეტ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, რასაც ბოლო 30-იანი წლების რეპრესიებმა მოულო.

"ქეთო! გენაცვალე, ეს არის მივიღე შენი წერილი და ძალიან ვწუხვარ, რომ შენ წერილიღობ. გენაცვალე, დაწყნარდ და ფიქრი ნურასი გაქვს. შენი საქმე ყველაფერი კარგად ეწყობა..."

ქეთო, მე უთუოდ ჩამოვალ და შენ დამიცადე მანდ. თუ საქირო იქნება ჩემთან ერთად დაბრუნდები ტფილისში. ჯერ ჩვენ ჯამბაგირები არ მიგვიღია, როგორც კი იქნება ფულები მაშინვე წამოვალ, მანამდე კი მოითმინე გენაცვალე.

ქეთონა შენი საყვედური, რომ ჩემგან დავიწყებული ხარ უსამართლოა, რადგან მე არც ერთი შემთვევა არ გამიშვია თუ ვინმე მანდ მოდიოდა რომ წქერილი არ მომენერა.

ერთი სიტყვით ქეთო შენ ჩემს ჩამოსვლამდე დამიცადე, მე უთუოდ ჩამოვალ.

სხვა იყავი კარგათ და უღარდელათ.

შენი დიტო." ეს ბარათის დიმიტრი შვედრიანისადმი მიწერილი წერილია. ექსპონირებისას გაუგზავნა. ექსპონირებისას დიტოს ქეთოსთვის ნაწუქარი ერთადერთი და უკანასკნელი საჩუქარი - ჯიბის საათიც გამოფინილია.

დავით ბაქრაძემ ვილინუსში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფინა მოინახულა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ, რომელიც ლიტვას ოფიციალური ორდინი ვიზიტით სტუმრობდა ვილინუსში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფინა მოინახულა. მოგვიანებით კი ლიტვის უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და ლექცია წაიკითხა. 2009 წელს ვილინუსი ევროპის დედაქალაქად გამოცხადდა და ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ლიტვაში დაგეგმილი ღონისძიებები ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფინით გაიხსნა. შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად ლიტვას დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე დასასწრებად ეწვია და ლიტვის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად დროშის აღმართვის ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა. **ჯი-ეი-ენი**

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს დღეს გორის თეატრი უმასპინძლებს

დღეს გორის თეატრი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს მასპინძლობს. ნაჩვენებია იქნება იასმინა რიზას პიესა "ART- ხელოვნება" (დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე).

სპექტაკლი გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობის ინიციატივით და შიდა ქართლის საზღვარეულო ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართება. ერთმომედებიანი სპექტაკლი ზურა ყიფშიძის, მიზა გომიაშვილის და ალექს მხარობლიშვილის მონაწილეობით 1999 წლიდან დღემდე უცვლელი შემადგენლობით და წარმავლობით იდგმება მარჯანიშვილის თეატრში. პირველი შემთვევაა, როცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ამ სპექტაკლით რეგიონში გადის გასტროლზე.

როგორც გორის თეატრის მმართველი გიორგი მარჯანიშვილი აცხადებს, გორი სისტემატიურად უმასპინძლებს დედაქალაქის და რეგიონების სხვადასხვა თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს.

"გორში არის ყველაზე გემოვნებიანი მაცურებელი, რომელიც ბოლო პერიოდში სამწუხაროდ მოკლებული იყო საუკეთესო სპექტაკლების ხილვის საიმოვნებას. დღეს ყველაფერი შეიცვალა. გორის მოსახლეობას, რომელმაც გასულ ზაფხულს მძიმე დღეები გადაიტანა, ამიერიდან საშუალება ექნება რეგულარულად ნახოს სხვადასხვა თეატრების საუკეთესო სპექტაკლები მიზერულ ფასად", აცხადებს შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე გიორგი ავალიანი. **მედიანიუსი**

ცნობილი ადამიანების დღემდე უცნობი სასიყვარულო წერილები გამოიფინება

დღეს, 19 თებერვალს "თიბისი ბანკის" საგამოფინო დარბაზში გაიმართება ექსპონირება, სახელწოდებით "სასიყვარულო ბარათები".

გამოფინაზე ფართო საზოგადოებას შეეძლება, გაეცნოს ცნობილი ადამიანების დღემდე უცნობი სასიყვარულო წერილებს, მათ შორის არის: ილია ჭავჭავაძისა და ოლადა გურამიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და რევეკა ვაშაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ანასტასია-ჯავახიშვილის ორბელიანისა და სხვათა სასიყვარულო ბარათები, ასევე XVIII-XIX საუკუნეების ეპისტოლეები. დარბაზის კედლებზე კენთავსდება ილუსტრირებული ბანერები წყვილების სასიყვარულო წერილებითა და მათი ბიოგრაფიული შტრიხებით.

გამოფინა ხორციელდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის ბაზაზე. ღონისძიების ორგანიზატორები მოწვეულ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად დამთვალეიერებელს უამრავ სიურპრიზს ჰპირდებიან. საღამოზე საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები სასიყვარულო წერილებს წაიკითხავენ. საღამო ცოცხალი მუსიკის თანხლებით ჩატარდება. გამოფინა, რომელიც "თიბისი ბანკის" მხარდაჭერით ხორციელდება, ერთ კვირას გაგრძელდება. **მედიანიუსი**

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მრჩეველთა 5 ჯგუფი შეიქმნება

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, რომ სამინისტროსთან მრჩეველთა საბჭოს შექმნაზე მუშაობას დღესვე დაიწყებს და ამ საკითხზე პირველ შეხვედრას ქართული კინოს წარმომადგენლებთან დღესვე გამართავს. რურუას განცხადებით, იდეა რომ ყველა იმ სფეროში რომელსაც კულტურის სამინისტრო კურირებს მრჩეველთა საბჭო შექმნილიყო მას ეკუთვნის და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მრჩეველთა ხუთი ჯგუფი შეიქმნება.

ეს არის კინოს, მუსიკის, მხატვრობის, თეატრის და სპორტის სფეროში მოღვაწე გამოცდილი პროფესიონალებისაგან შემდგარი ჯგუფი. "მრჩეველთა საბჭოს შექმნაში ახალი და სენსაციური არაფერია და თუ ამის პრაქტიკა ადრე არ იყო ეს ძალიან ცუდი. პროფესიონალებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა იმ სფეროს მუშაობაში რომელსაც კულტურის სამინისტრო განაგებს", - განაცხადა მინისტრმა. **ჯი-ეი-ენი**

ბობ დილანმა ახალი ალბომი ჩაწერა

ბობ დილანმა თავისი ახალი ალბომის ჩაწერა დაასრულა. დისკი, რომლის სახელწოდებაც ჯერჯერობით არ ხმაურდება, აპრილის ბოლოს გამოვა და მუსიკოსის 33-ე სტუდიური ალბომი იქნება. გამომცემლობის ინფორმაციით, დისკში 10 ახალი სიმღერა იქნება შესული, რომლებიც კალიფორნიაში ოქტომბრიდან იანვრამდე პერიოდშია ჩაწერილი. კორპორაცია Sony-ს კოლეგებმა, თებერვლის შუა რიცხვებში ახალი ალბომის მასალას უკვე გაუკეთეს დემონსტრირება, თუმცა დისკის სრული სიმღერების სია ჯერ არ გამოქვეყნებულა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ალბომის ჩაწერაში მონაწილეობას რამდენიმე ძველი მუსიკოსი იღებდა, რომლებიც დილანის ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიან. თავიდან იმედოვნებდნენ, რომ ახალი ალბომი ამ წლის შემოდგომაზე გამოვიდოდა, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დისკი აპრილის ბოლო კვირას - ევროპული ტურნეს პერიოდში გამოვა. ბობ დილანის ოფიციალურ საიტზე ახალი ალბომის შესახებ



ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული.

ბობ დილანის წინა ალბომი ახალი მასალით - Modern Times 2006 წლის აგვისტოში გამოვიდა

და მუსიკოსის პირველი ალბომი გახდა, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკულ ჩარტებში მაშინვე პირველი ადგილი დაიკავა. ამ ალბომის გა-

მოსვლით 67 წლის დილანი ყველაზე ძველი მუსიკოსიც გახდა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ჰიტ-პარადების სათავეები დაიკავა. მიუხედავად მხარად გამართული დისკუსიებისა იმის შესახებ, რომ მუსიკოსმა სავარაუდოდ ხმა საბოლოოდ დაკარგა, 2006 წელს გამოშვებული ალბომისთვის - Modern Times, დილანმა საუკეთესო კაცის ვოკალისთვის "გრემის" პრემია მიიღო. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მუსიკოსი აქტიურად დადის გასტროლებზე და წელიწადში საშუალოდ 100 კონცერტს მართავს.

კრიტიკოსებმა ბობ დილანი XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მუსიკოსად აღიარეს, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ ლიტერატურული კულტურის განვითარებაზე. დილანი სიმღერების უკანასკნელ ავტორად ითვლება, რომლის სახელსაც არაერთხელ მოიხსენიებდნენ ნობელის პრემიის მიღების შესაძლო კანდიდატებს შორის - ლიტერატურის დარგში.

**მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე
საქართველო
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის
განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

დაბა ხარაგაულის (იმერეთის რეგიონი) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროექტი

RMIDP/KHARAGAULI/CW/NCB/12-2009

წინამდებარე მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოწყობა ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველოში მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: **დაბა ხარაგაულის (იმერეთის რეგიონი) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროექტი** (კონტრაქტის # **RMIDP/KHARAGAULI/CW/NCB/12-2009**).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს დაბა ხარაგაულის წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთით.

ძირითადი სამუშაოების მოცულობებია:

- სათვალთვალ და წყლის მიმღები ჭების მოწყობა:

D=1.0მ, 1.5მ, 2.0მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭები - 165 ცალი;

- ქალაქის ქსელის რეაბილიტაცია:

- ასფალტის სამუშაოები - 1116 მ²;

- გრუნტის სამუშაოები - 70521 მ³;

- I ზონაში: პოლიეთილენის მილის მოწყობა d=200მმ-დან - d=20მმ-მდე - 10907.0 გრძ.მ;

- II ზონაში: პოლიეთილენის მილის მოწყობა d=110მმ-დან - d=20მმ-მდე - 3810.0 გრძ.მ;

- წყალშომის მოსაწყობად პოლიეთილენის მილის მოწყობა d=50მმ-დან - d=15მმ-მდე - 7540.0 გრძ.მ;

- ქვიშის საფუძვლის მოწყობა - 2920.0 მ².

- წყალშომების მოწყობა - 530 ცალი.

სამუშაოების ხანგადასრულება: **6 თვე**

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დანიტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ-ფოსტის მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დანიტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2,**

თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company

Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ **4,3** მილიონი ლარის ექვივალენტი;

2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს **1,0** მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადებები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს **2009 წლის 23 მარტის 12:00** საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს **43 000 (ორმოცდასამი ათასი)** ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირადად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე **2009 წლის 23 მარტს 12:00 საათზე.**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112,

საქართველო,

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

**განცხადება ტენდერის
ჩატარების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს: სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანიტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტიN1

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სარემონტო სამუშაო.

(ქ.თბილისის კოსტავას N71 -ის მიმდებარე ტერიტორია). ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვე

ლოტიN2

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს III განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაო (ქ.თბილისის ნუცუბიძის პლატო I მ/რ, I კვ.). ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე

ლოტიN3

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარის დაგება. (ქ.თბილისის დიღმის მასივი II კვ. კ.ჩალაძის ქ.N1). ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე

ლოტიN4

შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე რკინის ბეტონის ღობის და მსუხუჭი კონსტრუქციების ავტოსამრეცხაოს მოწყობა. (ქ.თბილისის დიღმის მასივი II კვ. კ.ჩალაძის ქ.N1). ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე

2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. პრეტენდენტებს შემსყიდველი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდგომ 2009 წლის 13 მარტის 17:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ.N1, შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

4.სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით გადახდილ უნდა იქნეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში შემდეგ რეკვიზიტებზე:

სახელმწიფო ხაზინა N220101222

სახაზინო კოდი 302003174

ანგარიშწორების ანგარიში N200122900

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

მითითეთ: გადახდის დანიშნულება - **სატენდერო მოსაკრებელი შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ სამშენებლო, სარემონტო სამუშაოს შესყიდვაზე.**

6. პრეტენდენტმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ერთი ასლი) 2009 წლის 16 მარტის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვ. კ. ჩალაძის ქუჩა N1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 16 მარტს 15:00 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

8.1 **იურიდიული პირთათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

ბ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მონუმობის ასლი)

8.2 **ფიზიკური პირთათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

8.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირთათვის:**

ა) ცნობა- საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. ბ) ცნობა- სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა- შს სამინისტროდან, რომ ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის ხელმძღვანელე-ბი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყენებ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ე) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არა არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ვ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება ასევე ქვეკონტრაქტორებს თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

ზ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელი და გვარი:

9. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-8 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **აღტყინატიული წინადადება არ განიხილება.**

12. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების 1% უზრუნველყოფის საბანკო გარანტია და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% საგარანტიო მუქანიზმი.

13. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან; თეიმურაზ კობალაძე, მაია ჩადუნელი ტ: 41-41-01. 41-42-74. მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქN1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

შს სამინისტროს ქ.თბილისის

მთავარი სამმართველოს

სატენდერო კომისია

-----1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

სპორტი

ზაზა ფაჩულია კალიფორნიაში იყო რადა

“ყველა ვარსკვლავის” უიკენდის დასრულების შემდეგ განახლდა NBA-ს რეგულარული სეზონი. “ატლანტა ჰოუქსისთვის” კი დასავლური ვოიაჟი დაიწყო. ამ ტურნეს “ქორები” ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ “ლოს ანჯელეს ლეიკერსთან” სტუმრობით იწყებდნენ. ჯორჯიანელმა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, თანაბარი თამაში მხოლოდ პირველ ტაიმში გამოვიდა, შემდეგ კი ჯექსონის გუნდმა მეტოქე დაჩაგრა. “ქორების” რიგებში ყველაზე კარგად ზაზა ფაჩულიამ ითამაშა. ქართველი ცენტრი გამოირჩეოდა თანაგუნდელთა შორის და პოლ გაზოლთან ჭიდილშიც კარგად ითამაშა. “ატლანტა ჰოუქსმა” ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ კონფერენციის ლიდერ “ლოს ანჯელეს ლეიკერსთან” გასვლითი მატჩი 83:96 დათმო, ზაზა ფაჩულია კი 8 ქულას, 12 მოხსნას, 3 პასს, 1 ჩაჭრასა და 1 დაფარებას გამოიჩინა.



ფაჩულია გაზოლის წინააღმდეგ

დაფარეს, მსაჯებისგან კი ორი ჯარიმა დაიმსახურა. ჰარფორდმა 22 წუთში 6 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტრავმის შემდეგ სასურველ ფორმაში არ შესულა. “ჰოუქსის” შემადგენლობაში 15-ქულიან ზღვარს ვერაფერს შესწვდა. ასეთ ფონზე კი მრისხანე “ლეიკერსთან” გამარჯვებაზე ფიქრი არარეალურია. ლოსანჯელესელებმა დასკვნითი მეოთხედის წინ 26-ქულიანი უპირატესობა დაიბრუნეს. მართალია, ბოლო პერიოდში

სულ 10 ქულას დასჯერდნენ, მაგრამ მატჩის სასურველ დასასრულამდე მიყვანა არ გასჭირვებიათ. ლოსანჯელესელთა შემადგენლობაში 10-ქულიან ზღვარს შვილმა კალათბურთელმა უწია. შეუდარებელი იყო გასოლი, რომელმაც 12 ქულით, 13 მოხსნითა და 10 პასით სამმაგი დუბლი შეასრულა. ბოლო ხანს ჩინებულ ფორმაში მყოფმა ლამარ ოდომმა მასპინძლებს 15 ქულა, 20 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება შეანია. “ლეიკერსის” მთავარი

ვარსკვლავი კობი ბრაიანტი კი თამაშის გუნებაზე არ იყო და მხოლოდ 10 ქულას დასჯერდა. ფაჩულიას “ატლანტას” 31 მოგება და 22 მარცხი მოუგროვდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე, ხოლო აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილი შეინარჩუნა.

ხუთშაბათ დღით “ჰოუქსი” საკრამენტოს ეწვევა და ლიგის მაჩანჩალა “კინგს” (11 გამარჯვება, 43 ნაგება) ეთამაშება.

ამ დროისთვის ფაჩულიას საშუალო მონაგარი 6.5 ქულა და 6 მოხსნაა.

ქართველი კალათბურთელების გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატში “ტარტუ როკმა” სტუმრად “ვალგა ველგს” იოლად - 71:48 სძლია და ზედიზედ მე-13 გამარჯვება იზეიმა.

სანიკიძემ და ცინცაძემ ტარტუელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზეს. ვიქტორმა მოედანზე 24 წუთი დაჰყო და 16 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

სანიკიძემ 8-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო და მხოლოდ თანაგუნდელ პაადეს ჩამორჩა, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა. ცინცაძემ 28 წუთში თამაშობიდან სამივე ტყორცნა გააცუდა და 3 მოხსნას, 1 პასსა და 1 ჩაჭრას დასჯერდა.

“როკმა” მეტოქეს პირველ მეოთხედში მხოლოდ 7 ქულა ჩააგდებინა და ახლოს არც დარჩენილ დროში გაუკარებია.

მარკოვივილის “კიევიდან” 6 ლეგიონერი გაუშვეს

მანუჩარ მარკოვივილის “კიევი” რეგულაციური ცვლილებები განახორციელა შემადგენლობაში და გუნდიდან ერთდროულად 6 ლეგიონერი გაუშვა. ამის მთავარი მიზეზი გახდა უკრაინის თასის ფინალში განცდილი მარცხი “აზოვმაშთან” - 74:75. 6 უცხოელში არ მოხვდა საქართველოს ნაკრების მსროლელი, რომელიც კიეველთა რიგებში აგრძელებს კარიერას და უკრაინის სუპერლიგის უახლოესი ტურის მატჩზეც გაემგზავრება “კიევის” შემადგენლობაში.

განუგრავა უგუნდოდა

ქართველი ნახევარმცველი გიორგი განუგრავა ჩეხეთის საფეხბურთო გამბრიუს ლიგაში მოასპარეზე “მლადა ბოლესლავის” ფეხბურთელად აღარ ითვლება.

“მას ჩვენთან დადებული ხელშეკრულება დაუმთავრდა”, - განაცხადა “მლადა ბოლესლავის” სპორტულმა დირექტორმა ზდენეკ კულელომ.

განუგრავა ჩეხურ გუნდში გასული წლის დასაწყისში “ხესტაფონიდან” გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა და ბოლოს “მლადა ბოლესლავის” იუნიორთა გუნდში თამაშობდა.

გაიზო დარსაძის მთავარი მწვრთნელობის დროს განუგრავა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 7 მატჩი ჩაატარა.

ცქიტივილის წარმატებული დებიუტი

ქართველი ნახევარმცველის ლევან ცქიტივილის დებიუტი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ ვისბადენის “ვეენში” პირველი ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერ “ჰოფენჰაიმთან” ამხანაგურ მატჩში (2:1) გაიმართა.

განვლელ მატჩში ცქიტივილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეიძღვა შეცვალა. 32 წლის ფეხბურთელმა კარგად ითამაშა და პირველ ტაიმში მის მიერ შესრულებული საჯარიმო შემდეგ შიშაქმა ანგარიშის გახსნის შანსი შეიქმნა და გაუშვა.

შეხვედრის 26-ე წუთზე “ვეენის” კარი ობასიმ აილო, ხოლო პუნენერმა საპასუხო ბურთი 66-ე წუთზე გაიტანა. მატჩში გადაამწყვეტელი გოლის ავტორი აღმოჩნდა შმიდტი, რომელმაც 82-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

გასული წელი ცქიტივილიმა თბილისის “ლოკომოტივიში” გაატარა და მეორე ბუნდესლიგის ბოლო ადგილზე გასულ “ვეენში” იანვრის ბოლოს ჩაირიცხა.

“ურალმა” ელიავა დაინუნა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კანდიდატ ზაალ ელიავას მცდელობა რუსეთის საფეხბურთო პირველი ლიგის კლუბ სვერდლოვსკის “ურალში” დამკვიდრებულყოფი, ნარუმბატელები აღმოჩნდა.

ელიავამ “ურალს” თურქეთში ჩააკითხა, სადაც გუნდი შეკრებას გადის და ტაშკენტის “ფახთაქორთან” ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. განვლილ სპარინგში რუსები უზბეკებთან 0:3 დამარცხდნენ, ხოლო ქართველმა მარცხენა მცველმა მოედანზე პირველი ტიმი დაჰყო.

“ფახთაქორთან” სპარინგის შემდეგ “ურალის” ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ელიავა გუნდში არ დაეტოვებინა.

ქართველთა “რუბინი” ნორვეგიელებთან დამარცხდა

ესპანეთის კურორტ ლა მანგაში შეკრებაზე მყოფი ლაშა სალუქვაძისა და დავით კვიციანი “რუბინი” ნორვეგიულ “ლიესტრომთან” საკონტროლო მატჩში 2:5 დამარცხდა. სალუქვაძემ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი ორი დღის წინ გააფორმა.

შეკრებაზე “რუბინი” კიდევ სამ ნორვეგიულ კლუბს გაეჯობრება. ყაზანელთა 20 თებერვალს “ბოდო გლიმტს” ეთამაშებთან, 24-ში - “ვოლერენგას”, ხოლო 27-ში - “სანდეფორდს”.

რუმენიგეს დონოვანი არ სჭირდება

მიუნხენის “ბაიერნის” გამგეობის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე “ლოს ანჯელეს გალაქსისგან” 15 მარტამდე ნაქირავები 26 წლის ამერიკელი თავდამსხმელის ლენდონ დონოვანის შექმნის წინააღმდეგია. “დონოვანი საინტერესო მოთამაშეა, მაგრამ როცა გუნდში კლუბზე, ტონი და ოლივი გაყავს, მაშინ ჯობს მეოთხე მეგობელ უფრო ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე აიყვანო”, - უთხრა რუმენიგემ. “გალაქსი” ამერიკის ნაკრების წევრში 8 მილიონ ევროს ითხოვს, რაც, საყოველთაო აზრით, ის ნამდვილად არ ღირს. დონოვანმა ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ოთხი, ანუ ყველა ბაიერნელზე მეტი გოლი გაიტანა, რითაც გუნდის მწვრთნელის იურგენ კლინსმანის მოწონება დაიმსახურა. მაგრამ განახლდა სეზონი და ამერიკელის შთამბეჭდავ თამაშს ნერტილი დაესვა - კლინსმანმა ის 4 მატჩში შეიყვანა შეცვლაზე და რაიმე ღირებული მან ვერც ერთ მათგანში ვერ გააკეთა. მისი შექმნის აუცილებლობაში “ბაიერნის” ხელმძღვანელობის დასარწმუნებლად დონოვანს 15 მარტამდე 7 შეხვედრა დარჩა - თასისა და ჩემპიონთა ლიგის ჩათვლით.

"თავისუფლებს" ხალიჩა კიევი დაუბას

წახკაძორული შეკრებიდან სამი დღის წინათ დაბრუნებული საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 11-კაციანი ნაკრები დღეს კიევიში საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ გაემგზავრა. უკრაინულ ხალიჩას თვეწახევარში ჩასატარებელი ვილინიუსის ევროპის ჩემპიონატის წინ ერთგვარი გენერალური რეპეტიციის დატვირთვაც აქვს. და მაინც, მიუხედავად ასეთი სტატუსისა საქართველოს ნაკრები კიევიში საუკეთესო შემადგენლობით არ წარდგება.



უკრაინულ ტურნირის მინდორაშვილთან და გოგშელიძესთან ერთად თუშიშვილიც (ფოტოზე) გამოტოვებს

ოლიმპიურმა ჩემპიონმა რევავ მინდორაშვილმა (84 კგ.) და ბრინჯაოს პრიზიორებმა - ოთარ თუშიშვილმა (66 კგ.) და გიორგი გოგშელიძემ (96 კგ.), ერთი თვის წინ საქართველოს ჩემპიონატშიც გამოტოვეს და შესაძლოა, ევროპირველობაზეც მათ გარეშე იასპარეზოს ზაზა თურმანიძის ნაკრებმა. მართალია ამასთან დაკავშირე-

ბით ბოლომდე არაფერია გარკვეული, მაგრამ მაინც გარკვეული კონტურები იხაზება. ნაკრების მთავარი მწვრთნელის თქმით, ყველაფერი დარჩენილ მოსამზადებელ შეკრებებზე გადანწყდება. “კიევის საერთაშორისო

ტურნირზე ტრადიციულად საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. ამჯერადაც ოცამდებ ქვეყნის ნაკრებს ელიან. ეს შეჯიბრი, ევროპის ჩემპიონატის წინ (31 მარტი -5 აპრილი) ჩვენი ბიჭებისთვის უმნიშვნელოვანესი გამოცდა იქნება.

რონალდუ მიდნაულზე შეირებას არ აპირებს



ხანდახან რონალდუსაც უსტვენენ

გასული წელი "მანჩესტერის" პორტუგალიელ ვასკულავ კრიშტიანუ რონალდუსთვის წარმატებული გამოდგა. 24 წლის შემტევმა ჩემპიონთა ლიგაშიც იმარჯვა, ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო, ამას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიც გამარჯვება დაუმატა და ყველა ინდივიდუალური პრიზიც დაისაკუთრა. მოკლედ, 2008 წელი შეიძლება რონალდუს წააგებდეს ჩაითვალოს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელი მიდნაულზე შეჩერებას არ აპირებს. ანდა რატომ უნდა შეჩერდეს, როდესაც მხოლოდ 24 წლისაა და თითქმის მთელი კარიერა წინ აქვს. ინტერვიუ, რომელსაც ვთავაზობთ, რონალდუმ "მანჩესტერის" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტს მისცა და "რეალში" შესაძლო გადასვლაზე საუბრისგან თავი შეიკავა.

- გასულ წელს ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. 2009 წელს რა მიზანს ისახავთ?

- ტრიუმფალური წლის შემდეგ არაერთ ისეთ ფეხბურთელს ვესაუბრე, ვინც საკუთარი სახელი ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერა. მათ მითხრეს, რომ მთავარია არა ერთი წარმატება, არამედ სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში. თუ თამაში მოეწონება, ვიცი, გამაკრიტიკებენ და ეს არ მინდა. ამიტომ განვადგინე მაღალ დონეზე თამაში. ამბიციური ვარ და კიდევ არაერთი ტიტულის მოგება მინდა.

- "მანჩესტერში" გატარებულ პირველ სეზონში სულ რამდენიმე გოლი გაიტანეთ.

- ძნელია ამ კითხვაზე პასუხი.

გასულ წელს კი 42 გოლი იყო თქვენს ანგარიშზე. ეს როგორ მოახერხეთ?

- "მანჩესტერში" რომ მოვედი, 18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელი ვიყავი. მაშინ ჩემზე ვერავინ იტყოდა, მაღალი დონის მოთამაშეაო. თანდათან მივიღე გამოცდილება და საფეხბურთო თვალსაზრისით მეტად განსწავლული ვაგხდი. გამომართლა კიდევ - შესანიშნავი ფეხბურთელების გვერდით მიწვეს თამაში და მათგან ბევრი ვისწავლე. "მანჩესტერში" ყოველ წელიწადს განვიცდიდი პროგრესს, ბოლო სეზონი კი უბრალოდ შესანიშნავი გამოდგა. თუმცა, კიდევ გავიმეორებ, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და მინდა მიმდინარე სეზონში, სულ მცირე, იმდენივე გოლის გატანა.

- იმ 42 გოლიდან რომელი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

- ძნელია ამ კითხვაზე პასუხი.

ხის გაცემა. შემძლია გამოვეყო რომში თავით გატანილი გოლი, "პორტსმუთის" კარის საჯარიმო დარტყმით აღება და "ასტონ ვილასთან" გატანილი გოლი.

- "მანჩესტერში" თქვენი პირველი პეტი-თრიკი "ნიუკასლთან" თამაშზე მოდის

- ეს მართლაც განსაკუთრებული რამ იყო. ორი გოლი არაერთხელ გამიტანია, მაგრამ ვერ ვახერხებდი პეტი-თრიკის შესრულებას. დედაჩემი ხშირად მეკითხებოდა: "კრიშტიანუ, რატომ არ გაგაქვს სამი გოლი?" მე ვუხსნიდი: "დედა, ზოგჯერ ეს შეუძლებელია". რაზეც მპასუხობდა: "ერთხელ აუცილებლად უნდა გაიტანო სამი გოლი". ბოლოს და ბოლოს, როცა ეს შევძელი, პირველ რიგში დედა გამახსენდა.

- უკვე მსოფლიო დონის ვარსკვლავი ხართ. ზენოლაც დიდია თქვენზე. ამას როგორ

უმკლავდებით?

- როდესაც იცი, რომ ხალხს მოსწონხარ შენი თამაშის ან თუნდაც გარეგნობის გამო, ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. მაღლობს ვუხდი ყველას, ვინც მხარს მიჭერს, რადგან სწორედ ეს მხარდაჭერა მაძლევს მეტ სტიმულს.

- მანჩესტერში ცხოვრებას თუ შეჩვევით?

- ეს კი ნამდვილად არ იყო ადვილი, თუმცა უკვე იმდენი ხანია მანჩესტერში ვცხოვრობ, რომ ახლა თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. მიყვარს აქ ცხოვრება, ჩემს ოჯახს კი - სტუმრად ჩამოსვლა. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ არ არის პირდაპირი რეისი მაღერიამდე. მაგრამ დედა და და მაინც სიამოვნებით ჩამოდიან ჩემთან. შემძლია ვითხრათ, რომ ჩემი ცხოვრება შესანიშნავად მიდის.

- გასული მატჩებში ხშირია შემთხვევა, როდესაც ტრიბუნებიდან გულშემატკივარი გისტვენთ. ამ დროს თუ ნერვიულობთ?

- ასეთი რამ სრულიად ნორმალურია - აბა, მოწინააღმდეგე გუნდის ფანები ოვაციით ხომ არ შემხვდებიან. შესაძლოა ვინმეს ჰგონია, რომ სტვენის გამო კონცენტრაციას ვკარგავ, მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, მსიამოვნებს კიდევ.

- ვინ არის გუნდში თქვენი საუკეთესო მეგობარი?

- რა თქმა უნდა, უფრო ახლო ურთიერთობა მაქვს პორტუგალიურენოვან ფეხბურთელებთან, თემაც სხვებთანაც ვემეგობრობ. "მანჩესტერი" მეგობრული გუნდია და სწორედ ეს არის მთავარი.

კაკა კვლავ საუკეთესოა

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" შემტევი ნახევარმცველი გახდა მფლობელი Samba d'Or-ის პრიზისა, რომელიც ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ბრაზილიელ ფეხბურთელს გადაეცემა. კაკას, რომელმაც მილანური დერბი ტრავმის მიზეზით გამოტოვა, კუთნილი პრიზი კლუბის სანერონელ ბაზაზე Sportivo Milanello-ში გადაეცა. საუკეთესოს ტიტულისთვის ბრძოლაში მან ინგლისის "მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელ რობინოს და ესპანეთის "სევილიას" ფორვარდ ლუიშ ფაბიანოს აჯობა.

ქირურგები ნესტას იმედს აძლევენ

ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო იტალიელ მცველს, 32 წლის ალესანდრო ნესტას მილანის კლინიკაში მორიგი ოპერაცია ჩაუტარეს. ქირურგთა მტკიცებით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სამი თვის შემდეგ ფეხბურთელი მოედანზე გავა.

კარგა ხანია ნესტას ზურგის არეში ქრონიკული ტკივილი სტანჯავს, რის გამოც მიმდინარე სეზონის ვერც ერთ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო. "მილანის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ეს ოპერაცია ფეხბურთელის პრობლემებს წერტილს დაუსვამს და მომავალი სეზონიდან ნესტა კვლავ იქცევა "როსონერის" საკვანძო ფიგურად.

"ქირურგებმა უკვე დაგვიამედეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენც სწორედ ამაზე ვოცნებობთ. იმედს გვაქვს, ნესტას პრობლემები წარსულს ჩაბარდება და ის კვლავ დაიკავებს "მილანში" კუთნილი ადგილს", - აღნიშნა "როსონერის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ.

ვან დერ ვაარტს "ჰამბურგში" აბრუნებენ

ესპანური მედიის ინფორმაციით, გამორიცხული არ არის მადრიდის "რეალის" 26 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი ზაფხულში თავის ყოფილ კლუბ "ჰამბურგს" დაუბრუნდეს.

ვან დერ ვაარტი "რეალს" "ჰამბურგიდან" გასული წლის ზაფხულში 16 მილიონი ევროს საფასურად შეუერთდა. თავდაპირველად მისი საქმეები იქ კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე და მერე მის მიმართ კრიტიკა გახშირდა. ბოლო დროს კი სულ უფრო იშვიათად აყენებენ შემადგენლობაში.

ამის გამო საქმეში ჩახედული ხალხი გერმანიაში მის დაბრუნებას ვარაუდობს. ასეთ ვარიანტს შესაძლებლად მიიჩნევს "ჰამბურგის" მწვრთნელი მარტინ ოილცი.

"ჩვენ ვიცით, თუ როგორ უნდა გრძნობდეს ის ახლა თავს, რადგან მას არ შეუძლია არ ითამაშოს. კმაყოფილი ნამდვილად არ იქნება, - აღნიშნა ოილცი, - ჩვენ მხოლოდ მის ნიშანს ველოდებით, რათა ვნახოთ, თუ რისი ვაკეთება შეგვიძლია. აშკარაა, რომ თუ გერმანიაში დაბრუნებას გადაწყვეტს, მისთვის აქ, "ჰამბურგის" გარდა, სხვა კლუბი არ იარსებებს."

იოლის აზრით, "რეალში" ვან დერ ვაარტის გადასვლა შეცდომა იყო.

"აქ ის ვარსკვლავი გახლდათ, იქ კი მხოლოდ რიგითი მოთამაშეა. აქ რომ დარჩენილიყო, შეეძლო კლუბის ისეთივე ლეგენდა გამხდარიყო, როგორებიც უკვე ზეილერი და კეინი კიგანი იყვნენ", - დასძინა მან.

სკოლარის "სიტი" არ აინტერესებს

ლუიშ ფელიპე სკოლარის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ფეხბურთის ბრაზილიელ სპეციალისტი მომავალ სეზონში "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებას არ აპირებს.

"ეს უბრალოდ სპეკულაციაა. ჩვენ არავინ დაგვკავშირებია", - განაცხადა სკოლარის წარმომადგენელმა აკას ფელეგერმა.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჩაიბარა "ჩელსი", ცოტა ხნის წინ გუნდი დატოვა. 2002 წელს მან ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, ხოლო 2004 წელს სკოლარის ხელმძღვანელობით პორტუგალიელები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ.

დროგბას "მარსელში" ელიან

ფრანგული "მარსელის" პრეზიდენტმა პაპე დიუფმა პირობა დადო, რომ დიდი დროგბას გუნდში დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს. თავის მხრივ, კოტდივუელმა ფეხბურთელმა, რომელიც 2004 წელს "ჩელსიში" სწორედ "მარსელიდან" გადავიდა, ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ სურს თავის ლონდონურ კარიერას წერტილი დაუსვას და ველოდრომზე დაბრუნდეს. აფრიკელმა ფორვარდმა ეს განცხადება ჯერ კიდევ მაშინ გააკეთა, როცა გუნდს სათავეში ლუიშ ფელიპე სკოლარი ედგა. ეს უკანასკნელი კი დროგბას აშკარად არ სწყალობდა - დროის დიდ ნაწილს კოტდივუარელი სათადარიგოთა სკამზე ატარებდა.

"გადაჭრით რომ ვთქვა, ლიგას აუცილებლად ჩვენ მოვიგებთ, ან დროგბა უეჭველად "მარსელში" დაბრუნდება-მეთქი, ეს ჩვენი გულშემატკივრების მიმართ უმატივცემო ლოობა იქნებოდა. ქომაგებს მხოლოდ იმას ვპირდები, რომ დროგბას დასაბრუნებლად, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს გააკეთებ. დიდიეს პირისპირ შევხვდები და ლონდონიდან აბარებებს ვურჩევ. ვატყობ, "მარსელში" დაბრუნება მასაც უნდა. სიმართლე ვითხრათ, ჩვენი ფინანსებიდან გამოიმდინარე, აშკარად გავიჭირდება მისთვის იმ გასამრჯელოს მიცემა, რასაც "ჩელსიში" იღებს. ხოლო თუ დროგბა ხელფასის შემცირებას დათანხმდება, ყველა დანარჩენი პრობლემა თავისთავად გადაიჭრება", - ამბობს დიუფი.

დია წარილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო!

თავიდანვე გეტყვით, რომ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალმა შემადგენლობამ ჩვენი მოსვლის პირველივე დღიდან თავისი სამოქმედო გეგმის ქვაკუთხედად აქცია ნარკომანიასთან, უსაქმურობასთან, უზნეობასთან და უმადურებასთან გააფრთხილებული ბრძოლა. ყველა უბედურების სათავე ხომ უზნეობა და უმადურებაა. ხოლო ნარკომანია და უსაქმურობა განსაკუთრებით სოფლად იწენს თავს. ამ მომაკვდინებელი სენით ბევრგან მთელი ოჯახები დადავადებული.

ჩვენგან არ გესწავლება (აკი თავად ბრძანეთ, არც ერთი სოფელი არ უნდა დარჩეს ნახერხ-მოყრილი საჭიდაოს გარეშე), რა დიდი როლი აკისრია ქართულ ჭიდაობას ახალგაზრდა კაცის ფორმირების კეთილშობილურ საქმეში - ის ხომ ვაჟკაცობის, რაინდობის, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილების სიმბოლოა. ეს ერთადერთი ჭიდაობაა, რომელშიც ნაქცეულს არ ერჩიან და მხოლოდ მისი წამოდგომის შემდეგ ეკვეთებიან.

თქვენთვის არც ის იქნება უცხო, რომ ქართული ჭიდაობა სხვა ჭიდაობების დედა - ძიუდო, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა ქართული ჭიდაობის მრავალფეროვანი ილეთებით საზრდოობენ. როგორც კი ჩვენს ღვიძლ ჭიდაობას გაუჭირდა, ეს უმაღლესი სხვა ჭიდაობებზეა. მხარგამლილი, წელში გამართული, ვაჟკაცური ჭიდაობა სანატრელი გავგიხდა

- სადღაა გადავლება, ბრუნე, კისრული, მოგვერდი, ცერული, შუა სარმა... განსაკუთრებით გადავლება და ბრუნს ვერ მოუნახვს ვერავითარი კონტრილეთი მსოფლიოს უძლიერესმა ძიუდოისტებმა და ფალავებმა.

ქართული ჭიდაობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სოფლად, სადაც ადრეული გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედნებზე სისტემატურად იმართებოდა ფალავანთა შერკინებები - დიდიდანვე მთელი სოფელი აიყრებოდა და საჭიდაო წრისკენ მიდიოდა. ზურნა-დუდუკის ხმა სასიამოვნოდ მოედებოდა არემარეს, მთელ სოფელს.

სოფლად აქა-იქ ახლაც ჭიდაობენ, მაგრამ აქამდე სისტემატური ხასიათი აღარა აქვს, ბევრგან გადაშენდა კიდევ.

ფედერაციამ პრიორიტეტად დაისახა მთელ საქართველოში ბავშვთა ჯგუფების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აღდგეს სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაცია, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ეროვნული სიმდიდრის, ქართული ჭიდაობის შემდგომ აღმავლობას და სოფლის გაძლიერებას, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მოზარდი თაობის გადარჩენისა და მათ ყოფაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის.

შეჯობრება ქართულ ჭიდაობაში ზეიმად უნდა ვაქციოთ - ახალ-

ახალი ჩოხებითა და მიმზიდველ სამსაჯო ფორმებში გამოწყობილი ფალავები და მსაჯები, ხალხის სიმრავლე, წესრიგი, რასაც ობიექტური, მიუკერძოებელი მსაჯობა დამაყარებს, ლამაზი და ძვირფასი პრიზები, ფულადი პრემიები - ეს ყველაფერი სილამაზესა და ეშხს შემატებს ჩვენს ჭიდაობას.

დიდი მადლობელი ვართ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა - მართალია, მან მცირე თანხა გამოგვიყო, მაგრამ მაინც იმდენი, რაც ჩვენს ფედერაციას აქამდე არ ღირსებია. თან ყველანაირი დახმარება აღგვიოქნა სოფლად გასამართი გეგმიური ღონისძიებების დროს. გამოგვიყო ორი ძვირად ღირებული ტატამი, რომელიც შევიტანეთ თბილისის 169-ე საჯარო სკოლაში, სადაც 17 თებერვალს საზეიმოდ გაგხსენით თბილისში პირველი ქართული ჭიდაობის ცენტრი.

მაისის მეორე ნახევარში ნეროვანში დაგვემილი გვაქვს ქართული ჭიდაობის ზეიმის მოწყობა დევნილი მოსახლეობისთვის და მათივე ახალგაზრდების მონაწილეობით. გვინდა, რომ ეს დღე დაუვიწყარი იყოს მათთვის, ვინც ამ ქვეყნად ყველაფერი დაკარგა, ღირსებასა და თავისუფლების გარდა.

თუ თქვენთვისაც საინტერესო იქნება ამ ღონისძიებაზე დასწრება, წინასწარვე გაახლებთ მოსაწვევს.

შევიმუშავებთ საპატიო ნოდებათა მინიჭების ფორმები - ყველა აბსოლუტურ ფალავანს, ფულად

ჯილდოსთან და მთავარ პრიზთან ერთად, მიენიჭება სპორტის დამსახურებულ ოსტატის ნოდება ქართულ ჭიდაობაში, ხოლო წონითი კატეგორიების მიხედვით ქვეყნის ჩემპიონები დაჯილდოვდებიან ქართულ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშნითა და მოწმობით. სპორტის დამსახურებული ოსტატის ნოდება მიენიჭება, აგრეთვე, მას, ვინც სამჯერ მოიპოვებს საქართველოს ჩემპიონის ნოდებას წონითი კატეგორიების მიხედვით.

ჩვენი ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და დანიშნულებაა ქართული ჭიდაობისთვის საერთაშორისო სტატუსის მიანიჭება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამართვა ქართულ ჭიდაობაში. ველისიპედის გამოგონება არ დაგვიჭირდება - ასე დაინერგა თავის დროზე იაპონური ძიუდო.

ბატონო პრეზიდენტო!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ალბათ თქვენთვისაც დღესავით ნათელია, რომ ამხელა, მართლაც და საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებას სახელმწიფოს, მთავრობის აქტიური მხარდაჭერისა და მხარში ამოღებობის გარეშე დიდი დღე არ უწერია. ამიტომ გთხოვთ, გვერდში დაგვიდგეთ და ერთობლივი ძალისხმევით ავალორძინოთ ჩვენი ეროვნული საუწვე და გავიტანოთ იგი საერთაშორისო არენაზე. გვერწმუნეთ, ამით მთელი ერი იამაყებს.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი უშანგი ყურაშვილი

მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი
კრედიტის ნომერი: N4516 GE

ქ. ტყიბულის (დასავლეთის რეგიონი) წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია

RMIDP/TKIBULI/CW/NCB/11-2009

